# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 3 აპრილი 2006 №73 (2695) ფასი 50 თეთრი

# შტადიონების იშტა

## ინფრაგერმანული სტრუქტურა ქართულ ფეხბურთში

ქართულ ფეხბურთში გერმანული ექსპანსია გრძელდება. სამწვრთნელო შტაბსა და სამედიცინო კონსულტანტს „ინფრასტრუქტურული დესანტი“ მოჰყვა.

**FIBIGER GMBX** საკმაოდ ცნობილი ფირმაა, რომელიც სტადიონების პროექტირებით და ამ პროექტების რეალიზებაზე საავტორო ზედამხედველობით არის დაკავებული. ამ ფირმის დაპროექტებულია სტადიონები კაიზერსლაუტერნში, კიოლნში, შანხაიში... უკრაინაში სულაც ფილიალი აქვს გახსნილი და გარდა იმისა, რომ დონეცკის „მეტალურგის“ სტადიონზე მიიღო დაკვეთა, მომავალში კიდევ ორ სტადიონს დაუპროექტებს უკრაინელებს.

ფირმის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ნოდარ ახალკაცთან ერთად თბილისში ჩამოსული ფოლკერ ფიბიგერია, რომელმაც საქართველოში ოთხკაციანი ჯგუფიც იახლა.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სტუმრებს ჯერ ეროვნული სტადიონი დაათვალიერებინა, შემდეგ კი „მიხეილ მესხი“ და ეროვნული ნაკრების ბაზა...

*იხილეთ მეორე გვერდი*



ნოდარ ახალკაცი და ფოლკერ ფიბიგერი „მიხეილ მესხზე“

# დინამო–ო–ო და ორი



ამერი — ბათუმი 0:1. ბრაზილიელი ტიაგო (შუაში) და ბათუმელები წაუგებელ სვლას აგრძელებენ

თითოჯერაც წაიფორხილეს თბილისის „დინამომ“ და „ამერმა“, თითოჯერაც იმარჯვეს „სიონმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ და სიმართლეს თვალი გავუსწოროთ — საჩემპიონო მარათონს ეს ორი პრეტენდენტიღა შემორჩა.

მწვრთნელნაცვალმა „ზესტაფონმაც“ იმარჯვა და კობა ჟორჟიკაშვილის დებიუტი მესამე საფეხურამდე აღზევებით აღნიშნა.

ამ „ხუმრობა-ხუმრობაში“ კი, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, თბილისის „დინამოს“ ევროთასების მიღმა დარჩენა რეალურად დაემუქრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ბზარების თეორია

## გერმანელებმა მიხეილ მესხზე გახურება გადაიფიქრეს

ჩვენი საუბარი გერმანელ სტუმრებთან „მიხეილ მესხზე“ შედგა. ჯერ *ფოლკერ ფიბიგერი* მოვიხელთეთ...

— რამდენად კმაყოფილი ხართ ნანახით?

— ეს სტადიონი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე „ეროვნული“, მაგრამ საქმე აქაც ბევრია. იგივე კითხვა დღის ბოლოს რომ დაგესვათ, უფრო კონკრეტულ პასუხს გაგცემდით, რადგან საღამოს ჩემს გუნდთან ერთად დავჯდები და ნანახს გავაანალიზებთ.

— რა არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელზეც უკვე შეიძლება ლაპარაკი?

— ფიფას და უეფას უპირველესი მოთხოვნა სტადიონების უსაფრთხოებაა. სხვა მხრივ, შენობასთან დაკავშირებული პატარ-პატარა ნიუანსები გვექნება მოსაგვარებელი, მოედანი კი... ასეთ მოედნებზე არც ერთ ქვეყანაში ფეხბურთს არ ითამაშებენ.

— რა დრო დასჭირდება აუცილებელ სამუშაოებს?

— ვიცით, რომ დრო სექტემბრამდე გვაქვს და იმედია, მოვასწრებთ ყველა სამუშაოს დასრულებას. თბილისში სამშაბათამდე დავრჩებით, საჭირო ინფორმაციას მოვაგროვებთ და ამის შემდეგ უფრო გაგვიადვილდება თარიღებსა და სამუშაოს მოცულობაზე საუბარი. შესაძლოა, თქვენი სტადიონები არ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, მაგრამ ქართველების მასპინძლობით მოხიბლული ვარ. თუ თქვენთან მუშაობაც ისეთივე სისწრაფით შეუძლიათ, როგორც ადამიანთა მოხიბვლა, ჩათვალეთ, ყველა პრობლემა მოგვარებულია.

სანამ ბატონ ფიბიგერთან ვსაუბრობდით, მისი გუნდის წევრებმა მინდვრის საფარის სინჯი აიღეს, მერე კი ცენტრში ნიველირი დადგეს და აზომვები დაიწყეს. ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ მოედნის ცენტრსა და პირით ხაზს შორის სიმაღლეთა სხვაობა 20 სანტიმეტრი (!) აღმოჩნდა.

როგორც კი მოიცალეს, კიდევ ერთ სტუმარს, *ანდრეას პფაფს* გავესაუბრეთ...

— ბატონი ფიბიგერის ფირმაში მუშაობთ?

— არა, მე კომპანია L.A.U.B-ს წარმოვადგენ, ნიადაგისა და გარესამყაროს დაგეგმარებას ვახდენთ, ასე ვთქვათ, ლანდშაფტის არქიტექტორი ვარ. თუმცა, როცა საქმეს სჭირდება, ჩვენ ერთ გუნდად ვერთიანდებით და წარმატებითაც ვთანამშრომლობთ.

— საქართველოში გამომგზავრება ვინ შემოგთავაზათ?

— თქვენი ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი დამიკავშირდა და საწვრთნელ ბაზებთან დაკავშირებით დახმარება მთხოვა. მანვე გამაცნო ბატონი ახალკაცი. საუბრისას აღმოჩნდა, რომ საწვრთნელ ბაზებზე მეტად რეაბილიტაცია სტადიონებს სჭირდებოდათ. შემომთავაზეს, ამ მხრივ გვემუშავა, დავუკავშირდით ჩვენი ჯგუფის სხვა წევრებსაც და დღეს უკვე აქ ვართ. ფიბიგერი არქიტექტორია, იუნგერი მიწისქვეშა კომუნიკაციების ექსპერტი, კამპმანი კი ჩემი კოლეგაა.

— როგორ შეაფასებთ მოედნების დღევანდელ მდგომარეობას?

— ეროვნულ სტადიონზე საფარი არაფრად ვარგა. პრობლემების წინაშე ვდგავართ აქაც — ნიადაგი სავსეა ჭიაყელებითა, რომელიც გაზონის უპირველესი მტერია. ან ნიადაგი უნდა გავახუროთ 80 გრადუსამდე, რომ პარაზიტები მოვსპოთ, ანაც საფარი მთლიანად უნდა შევცვალოთ. მეორე ვარიანტზე შევჩერდით, რადგან მოედნის დაგეგმარებაშიც გარკვეული შეცდომებია დაშვებული. პლუსი კი ის არის, რომ ამ სტადიონს დიდებული მდებარეობა აქვს, კარგად ნიავდება და მზის სხივებიც პირდაპირ ხვდება გრუნტს.

ნოდარ ახალკაცმა და ფოლკერ ფიბიგერმა კი სულ კუნჭულ-კუნჭულ დაიარეს „მიხეილ მესხი“. სტუმარი დაინტერესდა, რამდენი გზით შეიძლება მოვიდეს სტადიონზე სახანძრო, რამდენი სამართალდამცავი იცავს წესრიგს თამაშებზე, რამდენი საპირფარეშოა სტადიონის გარშემო და ისმის თუ არა იქ დიქტორის ხმა... სტუმრებმა უამრავი ფოტო გადაიღეს, რომელიც დასკვნაზე მუშაობის პროცესში დასჭირდებათ. დღეს გერმანელები ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად ჯერ ქანდის სამინდვრე მეურნეობას ეწვევიან, შემდეგ კი ზესტაფონის სტადიონს ინახულებენ. ქანდაში „ქართული ბალახია“, ზესტაფონის სტადიონზე კი თურქეთიდან ჩამოტანილი „ხალიჩაა“ დაგებული. ამის შემდეგ გადაწყდება, რომელი საფარის დაგება იქნება უპრიანი ეროვნულსა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებზე. ბუნებრივია, კომენტარი *ნოდარ ახალკაცმაც* გააკეთა...

— გერმანიაში სტადიონების დაპროექტების თუ მშენებლობის ნორმებს სპეციალური კანონმდებლობა არეგულირებს და ჩვენი სტუმრები ამ ნორმებით მუშაობას არიან მიჩვეულნი. მათი უდიდესი ავტორიტეტი და გამოცდილება იმედს გვაძლევს, რომ ყველაფერს მოვაგვარებთ. თუმცა კიდევ გავიმეორებ, რომ მდგომარეობა უმძიმესია. „ეროვნულზე“ გაზონი ყანას ჰგავს და გაუგებარია, საერთოდ როგორ ჟონავს იქ წყალი. დაზიანებულია „ეროვნულის“ სახურავიც, გაშიშვლებულია კონსტრუქციის რკინები, რაც ასევე დაუშვებელია. აქედან ნაკრების ბაზაზე მივდივართ, სადაც ასევე უმძიმესი მდგომარეობაა. ჩატარდება ექსპერტიზა და გაირკვევა, რა მიზეზით და როდის გაჩნდა იქ ბზარები, რატომ დაიწია გრუნტმა შენობის ირგვლივ და ასე შემდეგ...

— „ეროვნულის“ პარალელურად „მიხეილ მესხზე“ საფარის გამოცვლა ევროტურნირებზე მოედნის გარეშე ხომ არ დაგვტოვებს?

— გაცილებით ძვირი ჯდება, თუმცა არის მინდვრის საფარი, რომელსაც გრუნტის საკმაოდ სქელი ფენა მოჰყვება და თუ ამ ტიპის ბუნებრივი საფარის რულონებს დავაგებთ, სამი დღის შემდეგ შესაძლებელია თამაში. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს და ვნახოთ... ჯერ ის უნდა დავადგინოთ, რისი გაკეთებაა აუცილებელი. არ არის გამორიცხული, იმავ ეროვნულ სტადიონზე ჩასატარებელ სამუშაოთა ფინანსური მოცულობა დასახელებულ ათ მილიონსაც აცდეს.

**ნინო სილაგაძე**
**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## მეორე წრე 22 ტური

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. შევარდენი. 400 (ტევადობა 2 000)

### სოხუმი 4:1 ლოკომოტივი

1:0 ნოზაძე (3), 2:0 გაგუა (10), 2:1 ჟღენტი (25), 3:1 ჭანტურია (64პ), 4:1 მაჩალაძე (71)

| | |
|---|---|
| სოხუმი: ავ. ლაბაძე, ამბიძე, ჟვანია, ჭყოიძე, მაჩალაძე, მოლოდინი (მამფორია 80), ბართია (დ. კახელიშვილი 68), ი. ჭანტურია (მჭედლიშვილი 82), გაგუა, ა. ნოზაძე, სიხარულიძე | ლოკომოტივი: ლ. ლომიძე, ვ. გელაშვილი, ობგაიძე, ხორგუაშვილი, ბახტაძე (მეტრეველი 68), თავბერიძე (კორიფაძე 46), მ. ჟღენტი, ბარბაქაძე, ჩივაძე, გ. ყიფიანი (მენაბდე 64), რამონი |
| *სათადარიგონი:* ქაშიბაძე, გაგნიძე, ფონდოლაძე, ჯერენაშვილი | *სათადარიგონი:* ზუხბაია; გულორდავა, პეტროსიანი, ნ. ებრალიძე |
| მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი | მწვრთნელი: სოსო სირაძე |

გაფრთხილება: ობგაიძე (64)

გაძევება: ჩივაძე .(76)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ი. ურუშაძე, ზ. ასკაროლლი; გ. ვადაჭკორია

დამკვირვებელი: ე. სილაგავა

# ქინქლაძის ბუცები და წიტაიშვილის ფორმები

**ილია ნანობაშვილი**

**„კლუბის** დირექტორმა გვითხრა, ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელი გასინჯეთო. „სოხუმი“ შედარებით სუსტი გუნდია და დღესაც რამდენიმე მოთამაშე ჭაბუკთა ლიგიდან დავაყენე. მომდევნო ჩემპიონატშიც თუ ეს გუნდი გვეყოლა, თამაშს საერთოდ, ვერ მოვიგებთ. ჩვენ ამ ბავშვებს ვარჩევთ, და, სამწუხაროდ, ძალიან რთული მდგომარეობაა, იმედი გამიცრუვდა“ — თქვა ნამატჩევს პრესკონფერენციაზე „ლოკომოტივის“ თავკაცმა სოსო სირაძემ.

...ნაღდად არ ცდებოდა სოსო სირაძე — „ლოკომოტივის“ ახალგაზრდები ძალიან სუსტები არიან, შეიძლება ითქვას, გუშინ რკინიგზელთა გუნდი მინდორზე საერთოდ არ არსებობდა, თორემ რანაირად შეიძლება „სოხუმთან“ 1:4 წაგება...

უკვე მე-10 წუთზე 2:0 იყო: ჯერ არჩილ ნოზაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ და აუღელვებლად შეაგდო, მერე კი ვალერი გაგუამ ბრწყინვალედ დაატრიალა ბურთი და ულამაზესი გოლიც გაიტანა. „ლოკომოტივი“ სწორედ აქ ამოქმედდა, მიხეილ ჟღენტმა საჯარიმოში ჯაჯგურისას მცველებს დაასწრო და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 2:1.

„ლოკომოტივი“ გამთანაბრებელი მაინც არ ჩანდა და აქეთ მიიღო გოლი. ვერ გავიგეთ, რატომ მოკიდა ნაკუთხურალ ბურთს თავის საჯარიმოში ხელი ლევან ობგაიძემ... პენალტი ნაღდი იყო და ირაკლი ჭანტურიამაც 3:1 გახადა. მეოთხე და ბოლო ბურთი კი ლევან მაჩალაძემ 20-25 მეტრიდან შეაგდო — 4:1.

მოკლედ, „სოხუმი“ ბოლოდან მესამე ადგილზე გამაგრდა. ნამატჩევს მათი თავკაცი გოჩა ჟორჟოლიანი კმაყოფილი იყო მეორე წრეში პირველი მოგებით და ასეთი რამაც გვითხრა — დღეს კობა წიტაიშვილის გამოგზავნილი ფორმებით და გიორგი ქინქლაძის გამოზავნილი ბუცებით ითამაშეს ბიჭებმა, ამან სტიმული მისცა გუნდს, თუმცა ფინანსურად კვლავაც საშინელ დღეში ვართო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მელქაძემ და ვოლერენგამ ერთმანეთს პლუსი დაუწერეს



**თბილისის** „დინამოს“ აწ ყოფილი ფორვარდი და წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ლევან მელქაძე კარიერას ნორვეგიულ „ვოლერენგაში“ გააგრძელებს.

ლევანმა მისი აგენტის, გიორგი ნემსაძის დახმარებით ახალ კლუბთან 1+1-წლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა და უახლოეს დღეებში გერმანულ შეკრებაზე გაემგზავრება...

— ნორვეგიელებთან ადრეც მქონდა საქმიანი ურთიერთობა — გვითხრა გიორგი ნემსაძემ — „ვოლერენგას“ მესვეურებს მელქაძე იმ დროიდან ახსოვთ, როცა „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა. ახლა კი ამ კლუბს თავდამსხმელის პრობლემა შეექმნა და ხელმძღვანელები მელქაძით ისევ დაინტერესდნენ — დამიკავშირდნენ და საქმეც უპრობლემოდ მოგვარდა.

**კობა ინასარიძე**

# მინგე და სირაძე პირისპირ

## ქართველს დამკვირვებელი იქვე ჰყავს

**ერცგებირგეს** აუე-მ გუშინ მიჯრით მესამე მატჩი მოიგო მეორე ბუნდესლიგაში — დრეზდენის „დინამო“ 2:0 დაამარცხა. აუელ დავით სირაძეს ამჯერად არ გაუტანია, 63-ე წუთზე შეცვალეს. თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე კი სირაძე კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგეს შეხვდა...

— დრეზდენელებთან რომ შემცვლიდნენ, წინასწარ მითხრა მწვრთნელმა — ავადმყოფობის შემდეგ ანუეი იუსკოვიაკი რამდენიმე წუთით უნდა შეეუშვა მოედანზეო. ეს, ფაქტობრივად, დრეზდენული დერბი იყო, ერცგებირგე დრეზდენთან ძალიან ახლოსაა. მინგეც დრეზდენში ცხოვრობს და წინასწარ დამირეკა, შეხვედრა მსურსო. ერთმანეთს აუე-ს სტადიონზე შევხვდით და დაახლოებით ერთი საათი ვისაუბრეთ. მინგე ზოგადად მელაპარაკა სანაკრებო საკითხებზე და ისიც მითხრა, დრეზდენელი ვარ და აუე-ს თამაშებზე ხშირად ვივლიო — გვითხრა გუშინ სირაძემ.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე 22 ტური



ლაშა ქებაძის ერთადერთი გოლი „ამერის“ კარში

[illegible] ფოტო

# გაბელიამ იცოდა

## ამერის ორი ვირუსი: დინამო და გრიპი

კობა ინასარიძე

თბილისი. 1 აპრილი. 16 საათი. ამერი. 1 000 (ტევადობა 1 000)

**ამერი 0:1 ბათუმი**

0:1 ქებაძე (83)

| ამერი | ბათუმი |
| --- | --- |
| ამერი: ლ. ნადირაშვილი, გ. კვახაძე, ბერიანიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, დოლიძე, დეკანოსიძე (დობროვოლსკი 46), კოშკაძე (სილაგავა 46), სევასტოპულო (ა. კაიდარაშვილი 79), ს. დავითაშვილი *სათადარიგონი:* ქვაჩახია; ელბაქიძე, გარუჩავა, წინამძღვრიშვილი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | ბათუმი: თოთლაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, მ. ლომიძე, გვაზავა (თ. უგრეხელიძე 79), ქებაძე, სეთურიძე (ექონია 56), რ. ონიანი, ტიაგო, რ. ჯიქია, დვალიშვილი *სათადარიგონი:* სომხიშვილი; ცანავა, ფარტენაძე, დუმბაძე, კუნჭულია მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

გაფრთხილება: ტიაგო (51), დოლიძე (53), ბოლქვაძე (73), ლომიძე (75), დობროვოლსკი (84)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; გ. ცირდავა, მ. ელიკაშვილი; მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: ნ. კაკულია

**მატჩის** შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე „ბათუმის“ მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ პირდაპირ და გასაგებად თქვა: „ძალიან რთული თამაში გველოდა და საგანგებოდ მოვემზადეთ. „ამერის“ რამდენიმე ფეხბურთელს ჩემს ხელში გაუვლია. ვიცოდი კოშკაძის, ბოლქვაძის, დავითაშვილის შესაძლებლობები და ჩემებიც შესაბამისად დავარიგე. ისიც კარგად ვიცოდი, რომ „ამერი“ სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთს ცოტა არასტანდარტულად ათამაშებს, ჰოდა, ასეთი სიტუაციის შექმნისას ბიჭებს მეტოქე ფეხბურთელების პერსონალური მეურვეობა ვთხოვე“. გაბელიამ ისიც დასძინა, „ამერის“ მატჩების რამდენიმე ფირიც ნანახი მქონდაო. მოკლედ, სტუმრებს მასპინძელთა თამაში წვრილ-წვრილად ჰქონიათ გარჩეული და ამის პასუხად, შინ სამი ქულაც გაიყოლეს, ალბათ ლოგიკურადაც, არ ითქმის, რომ „ბათუმმა“ გლდანში დაუმსახურებლად მოიგო.

„ამერს“ კი „დინამოს“ ძლევის შემდეგ რაღაც ჩავარდნისმაგვარი ეტყობა. როგორ და რა არის, ეს კლუბის ხელმძღვანელობას უკეთ ეცოდინება, ფაქტი ისაა, რომ „ყვითლებმა“ წინა ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერ „ცხინვალს“ დაუთმეს მნიშვნელოვანი ქულები. ახლა „ბათუმთან“ ვერ ითამაშეს ისე, როგორც ქომაგი ჰყავთ ნაჩვევი და ცოტა უფრო ადრე ვერც გორის „დილასთან“ გამოიყურებოდნენ მაინცდამაინც შთამბეჭდავად. „ამერისთვის“ ცუდი ისიცაა, რომ ამ გუნდს არც მომავალი მეტოქეები მისცემენ მშვიდი ცხოვრების საშუალებას. უახლოეს ტურში „ყვითლები“ „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრობენ, 8 აპრილს კი თასზე სათამაშოდ ბოლნისში ჩადიან.

...„ბათუმთან“ მატჩამდე მასპინძლებს, როგორც მათთმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ ასევე პრესკონფერენციაზე აღნიშნა, გრიპის ვირუსი დაერია: გიორგი დავითნიძეს და ამირან კედელაშვილს სწორედ ავადმყოფობამ არ მისცა თამაშის საშუალება, ხოლო გიორგი დეკანოსიძე, თენგიზ ჩიკვილაძე, დავით სევასტოპულო და სულიკო დავითაშვილი მოედანზე სიცხიანები იყვნენ. ფეხმტკივანმა ითამაშა ვახტანგ ხვადაგიანმა. ერთი სიტყვით, „ამერს“ სერიოზული პრობლემები ჰქონდა. გუნდმაც, ვიდრე ჯანი გაჰყვა, მეტოქეზე შედარებით უკეთ ითამაშა და საწყისი უპირატესობა მიიღო, მაგრამ ეს სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წუთი გაგრძელდა. „ამერმა“ ამ დროს გოლიც კი გაიტანა, გიორგი კვახაძემ ნაკუთხურალ ბურთს მაკრატელა მიაყოლა, თუმცა არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა სახიფათო თამაში დააფიქსირა და გოლიც, რა თქმა უნდა, გააუქმა. მერე „ბათუმმა“ იძალა და ტაიმის ბოლომდე მასპინძელთა კარს რამდენჯერმე ძალიან სახიფათოდაც დაემუქრა.

„ბათუმს“ მოედნის ცენტრში ვლადიკავკაზის „ალანიადან“ გათავისუფლებელი ლევან გვაზავას სახით მნიშვნელოვანი ძალა შეემატებია. გლდანში სწორედ ის და ლაშა ქებაძე იყვნენ სტუმართა თითქმის ყველა შეტევის ორგანიზატორები. მათი გულმოდგინე თამაშის ხარჯზე იყო, „ბათუმმა“ მასპინძლებს მოედნის ცენტრი რომ დააკარგვინა და ბურთიც ნელ-ნელა „ყვითლების“ ნახევარზე გადააგორა.

ქებაძემ შორეული დარტყმებით მოსვენება დაუკარგა ლადო ნადირაშვილს. ბათუმელმა შესვენებამდე ოთხჯერ დაურტყა „ამერის“ მეკარეს, თუმცა ვერ გაუტანა; ერთხელაც ვლადიმერ დვალიშვილის თავური გამოდგა სახიფათო, ხოლო მოგვიანებით გიორგი სეთურიძის ჩაწოდებულზე რევაზ ჯიქიას შეუგვინდა ჭვინტის წაკვრა.

შესვენებაზე გიორგი ჩიხრაძემ ორმაგი შეცვლა გააკეთა. დეკანოსიძის ნაცვლად მოედნის შუაში უფრო ხისტი დენის დობროვოლსკი გაამწესა, მარცხნივ კი ალეკო კოშკაძეს უფრო სწრაფი გიორგი სილაგავა ამჯობინა. მასპინძლებმა ის დაკარგული უპირატესობაც დაიბრუნეს და თამაში მეტწილად ისევ „ბათუმის“ ნახევარზე გაგრძელდა, თუმცა რეალურ ხიფათამდე საქმე არ მისულა.

„ბათუმმა“ ეგებ შეგნებულადაც კი დათმო უპირატესობა და მეტი ყურადღება საკუთარი, კარის შენახვაზე გადაიტანა. სტუმრები დაცვაში ძალიან ყოჩაღობდნენ და „ამერის“ ფორვარდებს ხეირიანად დარტყმის საშუალებაც ბოლომდე მოუსპეს. ამასობაში მასპინძელთა ჟინი განელდა, ორგანიზებულმა „ბათუმმა“ კი თამაში ნელ-ნელა გაათანაბრა და ცოტა ხანში ის სამქულიანი გოლიც გაიტანა, რომელმაც სტუმრები სატურნირო ცხრილში სწორედ „ამერთან“ გაათანაბრა.

83-ე წუთი იყო, როცა მასპინძლებმა საკუთარი საჯარიმოს მარჯვენა მხარეს ბურთი დაკარგეს, ბრაზილიელმა ტიაგომ კი უმეთვალყურეოდ დარჩენილ ქებაძეს დაუგორა — მასაც მეტი რა უნდოდა, ბურთი გაისწორა და ოცი მეტრიდან ისეთი ამოსცხო... ლადო ნადირაშვილმა ბურთს ხელი კი წაატანა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოცდილმა მეკარეებმა თქვეს, ქებაძის დარტყმული აუღებელი იყო. მართლაც, ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა...

„ყვითლებმა“, რა თქმა უნდა, ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწიეს, ამ საქმეში მეკარე ნადირაშვილიც ჩაერთო, მაგრამ მასპინძლებმა კინაღამ მეორე გოლიც მიიღეს. საჯარიმოდან ცენტრისკენ ატანილი ბურთი ტიაგომ მიიღო და ცარიელი კარისკენ დაიძრა, მცველი როცა წამოეწია, ბრაზილიელი უკვე „ამერის“ საჯარიმოში იყო, მანაც იქვე პარტნიორს დაუგორა და... ბათუმელს დავითაშვილმა აღარ დაანება...

ასე ჩაამთავრა „ბათუმმა“ მეორე წრეში თავისი მორიგი წარმატებული მატჩი და დაუმარცხებელ სვლას განაგრძობს.

# ფილიამ ვერ იცნო და არ მოეწონა. ლაცაბიძემ იცნო და არ მოეწონა

გორი. 1 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 400 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:0 კოლხეთი**

1:0 თურმანიძე (59)

| დილა | კოლხეთი |
| --- | --- |
| დილა: თ. ილურიძე, დ. მაისურაძე, გვარუციძე, გალოგრე, მასურაშვილი, საყვარელიძე, შატაკიშვილი, კუტალია (ტლაშაძე 69), ჯოხაძე (ალ. ლაბაძე 57), კობახიძე, დ. თურმანიძე (ვაჩეიშვილი 78) *სათადარიგონი:* გეგეშიძე; კურტანიძე, ოლგესაშვილი, ხაჭაპურიძე მწვრთნელი: მალხაზ ლაცაბიძე | კოლხეთი: ლატარია, ქობულაძე, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, ზ. რაზმაძე (წიქარიშვილი 46), ნარსია (ზ. ქუთათელაძე 46), მარგალიტაძე, კრასოვსკი, ვართაგავა (გოჩალეიშვილი 84), კილასონია, ზ. ჯანაშია *სათადარიგონი:* ხარძეიშვილი, ლოლუა, ყურაშვილი, წაბრია მწვრთნელი: სოსო ფილია |

გაფრთხილება: მარგალიტაძე (51), ლაბაძე (89)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი; ა. ორდინიძე

დამკვირვებელი: ო. რუხაძე; დირექტორი: ვ. ქორიძე

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

**მატჩი** ორივე გუნდმა შეტევებით დაიწყო, თუმცა უამრავი ტექნიკური წუნის გამო ხიფათი მაინცდამაინც არ იქმნებოდა.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა. მე-11 წუთზე ზამირ ჯანაშიამ თავით კარგად დაუგდო ბურთი ვართაგავას, რომელმაც ძლიერად დაარტყა და ბურთი ძელს მოხვდა.

ტაიმის შუაწელიდან მასპინძლებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს. 28-ე წუთზე კობახიძემ სტუმართა საჯარიმოში გადააწოდა ბურთი თურმანიძეს, რომლის მახვილი კუთხიდან ძლიერად დარტყმული მეკარემ ნახტომში მოიგერია. ორიოდ წუთში ქრისტეფორე შატაკიშვილმა შორიდან გაისროლა, მაგრამ კვლავ მეკარემ იყოჩაღა.

ტაიმის ბოლოს შატაკიშვილი კიდევ ორჯერ დაემუქრა სტუმართა კარს, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ნახევარი დიდად არ განსხვავდებოდა პირველისგან: მეტოქეთა მხრიდან კვლავ უინტერესო და უხარისხო თამაში ვნახეთ. მაყურებელი მხოლოდ ერთხელ გამოცოცხლდა, როცა მატჩის ერთადერთი გოლი იხილა: 59-ე წუთზე ფოთელმა ფარულავამ ცუდად მოიგერია ბურთი, საჯარიმოს სიახლოვეს მას თურმანიძე დაეუფლა, საჯარიმოში შეიჭრა და კარიდან გამოსულ ლატარიას თავზე გადაუგდო ბურთი — 1:0.

**პრესკონფერენცია**

*სოსო ფილია:* მიჭირს მატჩის შეფასება, რადგან შესაფასებელი არც არაფერია. დღეს ჩემი გუნდი ვერ ვიცანი.

*მალხაზ ლაცაბიძე:* გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ, რამდენიმე ფეხბურთელი არაა მზად უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 22 ტური

# არდასაკარგის არდამკარგავი

## ბოლნისში იუვენტუსზე ხუმრობენ და ვიტ ჯორჯიაზე ფიქრობენ

**გიორგი ნოზაძე ბოლნისიდან**

„თბილისი“ ალბათ მოახერხებს ქულათა საჭირო ოდენობის მოგროვებას, რათა გადათამაშების გავლით უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლოს. გოჩა ტყებუჩავას განკარგულებაში საკმაოდ კარგმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და კალენდარიც „თბილისის“ წისქვილზე ასხამს წყალს.

გუშინწინ კი... გუშინწინ ძალები არათანაბარი იყო, რადგან მოედნის მეორე ნახევარზე ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად ქცეული „სიონი“ იდგა, თანაც ეს მოედანი ბოლნისური იყო და საშინაო კედლებში ქვემოქართლელები ქულებს თითქმის არ კარგავენ.

„სიონმა“ ტრადიციულად აგრესიულად დაიწყო თამაში და პირველი ათწუთეულის მიწურულს ამკარა საგოლე რომ ჰქვია, ისეთი ორი მომენტი გააცუდა. ჯერ კოკა მიკუჩაძის ახლოდან დარტყმულს ბესიკ მიქიაშვილი ჩაუწვა, მერე კუთხურიდან მოწოდებულს ლევან ხმალაძემ თავური აძგერა და ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

კახა ცხადაძის გუნდის კოზირი სწრაფი ფლანგური გარღვევებია და რაც მეტად შემტევ ფეხბურთს თამაშობს მეტოქე, მით მეტად უადვილდება „სიონს“ მიზნის მიღწევა. ტყებუჩავამ ფრთხილი თამაში ამჯობინა, ვლადიმერ უგრეხელიძეს და არჩილ ალავიძეს ნაკლებად უჩნდებოდათ თავისუფალი სივრცე, თუმცა გოლი მაინც ფლანგიდან გავიდა: 22-ე წუთზე დიაგონალური გადაცემის შემდეგ საჯარიმოს კუთხესთან მდგომმა უგრეხელიძემ ბურთი თავით დაუგდო ლევან ბაჯელიძეს, ამან კი ერთი შეხებით გაისროლა და შორეულ კუთხეში გაიტანა — 1:0.

თბილისელებს ანგარიშის გათანაბრების შანსი 25-ე წუთზე მიეცათ, როცა გოჩა ხოჯავას ჯარიმის შემდეგ ზურაბ ბათიაშვილს ბურთი გაუვარდა და მერე ნახტომში წამითღა დაასწრო ზაზა ზირაქიშვილს.

„სიონი“ მეორე ტაიმშიც უტევდა და უგრეხელიძის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმაც აისხლიტა, შემდეგ კი ბოლნისელი ალავიძის ჯარიმიდან გასროლილი თბილისელმა ალავიძემ კუთხურზე მოიგერია.

სტუმრებმა მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მეორე ტაიმშიც ერთხელ შექმნეს, როცა არჩილ სახვაძის მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი ბათიაშვილმა თავიდან აცალა შეცვლაზე შესულ რევაზ ბარაბაძეს.

„სიონმა“ მოიგო, „დინამომ“ და „ამერმა“ კი მორიგი ქულები დაკარგეს და ბოლნისი უკვე საჩემპიონო ბანკეტის მოლოდინშია. რეალურად ოქროს მედლებისთვის ბრძოლას ორი გუნდიღა აგრძელებს. ყველაფერს თუ არა, ბევრ რამეს „სიონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ უშუალო დაპირისპირება გაარკვევს, რომელსაც ბოლნისი უმასპინძლებს. ნამატჩევს ვიღაცამ იხუმრა კიდეც, „სიონი“ ქართული ფეხბურთის „იუვენტუსიაო“ — კახა ცხადაძის გუნდი გაუთვალისწინებელ ქულებს არ კარგავს და გათამაშების ცხრილში პირველი ადგილიც დიდწილად ამის დამსახურებაა.

და მაინც: დაველოდოთ „სიონ“ — „ვიტ ჯორჯიას“...

ბოლნისი. 1 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 1 000 (ტევადობა 3 500)

### სიონი 1:0 თბილისი

1:0 ბაჯელიძე (21)

| | |
|---|---|
| **სიონი:** ბათიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭველიშვილი, რაქვიაშვილი (კვიტაიშვილი 58), ხმალაძე, ბაჯელიძე (დ. სვანიძე 88), ვ. უგრეხელიძე, ა. ალავიძე, მ. ხუციშვილი, მიკუჩაძე (გურბიენკო 65) *სათადარიგონი:* ბობღიაშვილი; ოქრომჭედლიძე, სირბილაძე, ქუცურუა **მწვრთნელი:** კახა ცხადაძე | **თბილისი:** მ. ალავიძე, მიქიაშვილი, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, გუშარაშვილი (ბერიძე 55), აფციაური, ბესარაშვილი, ვ. კვარაცხელია, სახვაძე, ხოჯავა (ბარამიძე 80), ზირაქიშვილი (რევაზ ბარაბაძე 68) *სათადარიგონი:* თევდორაძე; გ. დარასელია, ხუციშვილი, მ. ბურნაძე **მწვრთნელი:** გოჩა ტყებუჩავა |

**გაფრთხილება:** მიკუჩაძე (9), ხოჯავა (20), ზირაქიშვილი (42), აფციაური (44), უგრეხელიძე (78)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, თ. ხუჭუა; ლ. კვარაცხელია

**დამკვირვებელი:** ტ. ნიშნიანიძე

#### პრესკონფერენცია

*გოჩა ტყებუჩავა:* ერთ ქულას ვგეგმავდით და სამწუხაროა, რომ დავმარცხდით. დარწმუნებული ვარ, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად შანსი კიდევ გვაქვს. ხარვეზები გვქონდა და ბიჭებსაც დაველაპარაკები, მაგრამ მთლიანობაში მათი გარჯით მაინც კმაყოფილი ვარ.

*კახა ცხადაძე:* ისეთი თამაში გამოვიდა, დიდი სხვაობით გამარჯვება შეგვეძლო, თუმცა თბილისელებსაც შეეძლოთ გათანაბრება. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. რაიონის ხელმძღვანელობა გვერდში გვიდგას და არაფერს იშურებს გუნდისთვის. ჩვენი წარმატებაც ამ ყურადღების შედეგია.

# დილმელაშვილის პას თრიქი

## ცხინვალს ზედა პოლუსი არ ედარდება

მცხეთა. 1 აპრილი. 16 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 2 000)

### ვიტ ჯორჯია 3:0 ცხინვალი

1:0 გ. დათუნაიშვილი (22), 2:0 ფეიქრიშვილი (35), 3:0 სახოკია (49)

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, ბ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (ებანოიძე 64), ლ. რაზმაძე, ზ. სახოკია (კვალინაძე 62), დილმელაშვილი (გ. მელქაძე 52), ლუჭაშვილი *სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი; აბშილავა, ცხომარია, წულაძე **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე | **ცხინვალი:** გიზო შენგელია, აკოფიანი (ფერსაევი 46), ხაჭაპურიძე, მაისურაძე, ხოხობაშვილი, მ. თაყაძე, კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, ვ. თაყაძე (გ. ახალკაცი 69), დათვაძე (სულთანიშვილი 56), მძინარიშვილი *სათადარიგონი:* ქესანაშვილი; ბუთხუზი, ბოლოთაშვილი, გ. დვალი **მწვრთნელი:** ივანე თაყაძე |

**გაფრთხილება:** ჯაფარიძე (27), ხაჭაპურიძე (27), ხანიშვილი (41)

**მსაჯები:** ო. ხეცაძე; კ. გაბრიაძე, ზ. გურგენაძე; მ. მაისურაძე

**დამკვირვებელი:** ს. კუტივაძე

**ილია ნანობაშვილი მცხეთიდან**

**52-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ** დავით დილმელაშვილი შეცვალეს და ტრიბუნებზე მჯდომმა გულშემატკივრებმა, განსაკუთრებით კი, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებმა, დიდი ოვაციებით გააცილეს. მართლაც, ვიტელთა ლიდერმა იმ 52 წუთში სასწაულად ითამაშა, ზღაპრული პასები „დახატა“ და სამივე გოლი მისი გახერხებული იყო.

„ცოდოა ამ ბიჭის საქართველოს ჩემპიონატში თამაში, ამ დონისთვის კარგა ხნის წინ გადაიზარდა, 26 წლისაა და დროა, უცხოეთში წავიდეს“ — ამბობდნენ ქომაგები.

„ვიტ ჯორჯიას“ ოლეგ გველესიანი, დავით იმედაშვილი, ნიკა გელაშვილი და მეკარე გიორგი ბედიაშვილი აკლდნენ, თუმცა მაინც ერთი ამოსუნთქვით მოიგო. არადა, მეტოქედ ის „ცხინვალია“, სამი დღის წინ „ამერი“ რომ გაამწარა.

...ძალიან მხიარული თამაში გამოვიდა, ბლომად საგოლე მომენტები შეიქმნა, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში, როცა მასპინძელმა ვასილ ლუჭაშვილმა და სტუმარმა მიხეილ თაყაძემ იმდენი შანსი გააფუჭეს, ბარე სამ მატჩს ეყოფოდა. ლუჭაშვილმა საწყის 20 წუთში სამჯერ დაარტყა სახიფათო თავური, მაგრამ მხოლოდ ერთხელ აუღო მეკარე გიზო შენგელიამ, ორჯერ კი ააცილა.

„ცხინვალის“ მომენტები კი დავით დათვაძის დამსახურება იყო. ტანდაბალმა გამთამაშებელმა სულ მოჭრილი პასებს, დაურიგა თაყაძეს, სამჯერ გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ერთხელ აცილა, ორჯერ კი არდალიონ მიქაბერიძემ გამოაძრო რთული ბურთი: ეს ყველაფერი პირველმა ტაიმმა დაიტია, ჩოგბურთის პარტიასავით გაუთავებელ შეტევებში გაილია და ბურთი ცენტრში თითქმის არ ჩერდებოდა.

მეორე ნახევარში თავიდანვე გავიდა ერთი გოლი, მერე კი ყველაზე თვალში საცემი შეცვლაზე შესული ირაკლი ებანოიძის გაფუჭებული მომენტები იყო. თუმცა თამაშს ეშხი უკვე დაკარგული ჰქონდა.

გოლებზე არაფერი გვითქვამს: უკვე აღვნიშნეთ, რომ სამივე საგოლე პასი დილმელაშვილისა იყო — 23-ე წუთზე მის ნაკუთხურალს გიორგი დათუნაიშვილმა უთავაზა თავური და 1:0. 35-ე წუთზე „დილმელამ“ გიორგი ფეიქრიშვილს გაუჭრა გამჭოლი პასი, მეკარესთან პირისპირ დატოვა და 2:0. მესამე გოლი კი მეორის მსგავსი იყო, ოღონდ ამჯერად ფეიქრიშვილობა ზაზა სახოკიამ იკისრა — 3:0.

რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიას“ უფროსობას ცალი ყური სხვა თამაშებისკენ ეჭირა — „დინამოს“ წაგება თუ ეამათ, „სიონის“ მოგება არ ესიამოვნათ. ახლა უკვე სატურნირო მდგომარეობა ისეთია, რომ საჩემპიონო რბოლაში ძალიან ბევრს (თუ ყველაფერს არა) „სიონ“ — „ვიტ ჯორჯიას“ ბოლნისური მატჩი გადაწყვეტს.



დავით დილმელაშვილმა (მარჯვნივ) ოვაციები დაიმსახურა

#### პრესკონფერენცია

*ივანე თაყაძე:* პირველი ტაიმი გაცილებით საინტერესო იყო. ჩვენ რამდენიმე ფეხბურთელი დავასვენეთ, რადგან „ვიტ ჯორჯია“ ჩვენი ტოლ-სწორი გუნდი არაა და მათთან მოგების იმედი არც გვქონდა. ვეცდებით, არ გავვარდეთ და ვნახოთ, რა გამოვა.

*ნესტორ მუმლაძე:* წინა ტურში ჩვენც და „ცხინვალსაც“ ძნელი მატჩები გვქონდა და ამიტომაც დღეს ორივე გუნდი დაღლილი გამოიყურებოდა. ახლა მთლიანად „ამერთან“ შეხვედრისთვის ვართ კონცენტრირებულნი.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 22 ტური



# ნერვული ფონი
## იმედი იმედაძემ მოკლა



„ზესტაფონს“ ყველაზე მეტი პრობლემა კობა შალამბერიძემ შეუქმნა

**ლუკა თალაკვაძე**

ეს ერთხელ უკვე იყო: გვიან შემოდგომაზე „ზესტაფონს“ მწვრთნელი შეეცვალა — თემურ მახარაძის ნაცვლად კობა ჟორჟიკაშვილი დაინიშნა, მაგრამ მცირე ხნით. ამ გადანაცვლებამ გუნდს შედეგი ვერ მოუტანა, „ზესტაფონი“ ქულების ფანტვას დაეჩვია და სატურნირო მდგომარეობაც მკვეთრად გაიუარესა. სხვა გზა არ იყო — მახარაძე დაბრუნდა.

გამოხდა ხანი და, „ზესტაფონიც“ ძველებურად ათამაშდა. მახარაძის ხელში გუნდმა მოგებებს უხშირა, მაგრამ 21-ე ტურში „ბორჯომთან“ წაფორხილების (0:0) მერე მას ისევ კარისკენ მიუთითეს. რატომ? რა მოხდა? ამაზე ზესტაფონელთაგან არავინ ლაპარაკობს. ფაქტი ისაა, რომ გუნდს ახლა კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის, მას კი მერაბ კოჭლაშვილი ეხმარება.

მოკლედ, „სპარტაკ“ — „ზესტაფონის“ მატჩის დაწყებამდე მთავარი სალაპარაკო ეს იყო და უნდა გენახათ, რა დაძაბული ვითარება იგრძნობოდა პირველი ტაიმის შემდეგ. მასპინძლებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იმერლებს და იღბალი რომ ჰქონოდათ, დაწინაურებულებიც გავიდოდნენ შესვენებაზე.

თავიდან ხიფათი „სპარტაკის“ კართან შეიქმნა — კახა ჩხეტიანის ჯარიმა მეკარემ კუთხურზე მოიგერია. მერე კი ზესტაფონელთა საჯარიმოშიც დაცხა...

უვარგისი მინდვრის საფარი გუნდებს ხელს უშლიდა, თუმცა სპარტაკელებმა მაინც შეძლეს რამდენიმე მწვავე იერიშის მიტანა და ამას პირველ რიგში შალამბერიძე-ჯიბლაძის დუეტს უნდა უმადლოდნენ. ამათ ორ-ორჯერ ჰქონდათ გოლის გატანის შანსი, მაგრამ ხან მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც ბურთი სანტიმეტრებით ცდებოდა კარს. ერთხელ კი მეკარის ბაქანში შეფრენილ შალამბერიძეს ბოლოწამს მცველმა ვარდნაში დაუფარა, თორემ...

მოკლედ, პირველი ნახევარი უგოლოდ ჩათამაშდა და... ნეტავ, რა მოხდებოდა, მეორე ტაიმის დასაწყისში შალამბერიძეს ის მომენტი რომ გოლად ექცია? კუთხურიდან გადმოვარდნილი ბურთი ახალგაზრდა სპარტაკელმა მკერდით გაისწორა და მიწაზე დაუშვებლად ამოსცხო, მაგრამ... გრიგოლ ჭანტურია ნახტომში მისწვდა ბურთს.

ეს იყო და, „ზესტაფონიც“ გამოფხიზლდა. ფიფია-იმედაძე-იონანიძის ტრიო ფხიანად ამოძრავდა და გოლიც გავიდა: ფიფიას დარტყმული მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ ბურთი იქვე მყოფ იმედაძეს მოხვდა და — 0:1. ეს ამბავი 56-ე წუთზე მოხდა.

მასპინძლებმა მალევე გაათანაბრეს — შეცვლაზე შესულმა დავით მაღლაფერიძემ დაბალი დარტყმით შეაცურა ბურთი ბადეში — 1:1. ეს იყო და ეს. „სპარტაკმა“ მეტი ვეღარ შეძლო, თუმცა ამაში ისევ იმედაძეს თუ „დაადანაშაულებს“. ოთხ წუთში გიორგიმ თავურით იხეირა და მასპინძლებიც საბოლოოდ გატეხა.

თამაში აქ კი დამთავრდა, მაგრამ მთავარი სანახაობა წინ გველოდა. გიორგი განუგრავას გოლზე მოგახსენებთ: ზესტაფონელთა მერვე ნომერმა შეუჩერებლად ისეთი გაისროლა და ისეთი სილამაზის გოლი გამოაცხო, ბარე ორი ვარსკვლავი მოაწერდა ხელს. ახალგაზრდა ზესტაფონელმა ეს გოლი საინტერესოდაც აღნიშნა — ბურთი კარში რომ დაინახა, ხელები თავში წაიშინა, ეს რა გავაკეთე...

რაც მართალია, მართალია — მართლაც ზღაპრული გოლი იყო...

**თბილისი. 1 აპრილი. 16 საათი. შევარდენი. 400 (ტევადობა 2 000)**

## სპარტაკი 1:3 ზესტაფონი

0:1 იმედაძე (56), 1:1 მაღლაფერიძე (63), 1:2 იმედაძე (67), 1:3 განუგრავა (69)

| | |
|---|---|
| სპარტაკი: ნაფეტვარიძე, გაგნიძე (შალიზავა 60), ჯანგიძე, იმნაიშვილი, ტაბუცაძე, მაისაშვილი, მოდებაძე, ჯიბლაძე, კ. შალამბერიძე (დ. მაღლაფერიძე 58), ოქროშიაშვილი (დანელია 79), ხუბუა | ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ხიდეშელი, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, განუგრავა, გ. ჭელიძე (ბენაშვილი 81), ნუდნი (ბ. ნოზაძე 64), ფიფია (ბ. გოცირიძე 74), იმედაძე, იონანიძე |
| სათადარიგონი: ლაძაძე, ჩანტლაძე, გ. ლობჟანიძე, ხარაიშვილი | სათადარიგონი: რ. კვახაძე, ძარია, ს. თოდუა |
| მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე | მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |

გაფრთხილება: ნუდნი (17)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუხიშვილი, ვ. გუმბერიძე; დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: დ. მენთეშაშვილი

# რატომ გაუშვეს მახარაძე
## ზესტაფონური ვერსია: გაუშვით ბებრები, ათამაშეთ ახალგაზრდები

**ხმაურიან „ზესტაფონში“ ხმაურიანი და უცნაური ამბავი მოხდა: „სპარტაკ“ — „ზესტაფონის“ მატჩის წინ ზესტაფონელთა მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე გაათავისუფლეს...**



კობა ჟორჟიკაშვილი

„ზესტაფონმა“ სეზონი მახარაძის ხელმძღვანელობით დაიწყო, მერე კი გუნდი კობა ჟორჟიკაშვილმა ჩაიბარა.

მაშინ „ზესტაფონში“ გვითხრეს, მახარაძემ დასვენება და შვებულება ითხოვაო. მახარაძე ნოემბერში დაუბრუნდა საქმეს, ხოლო სეზონის მეორე ეტაპზე „ზესტაფონი“ მართლაც წარმატებით ათამაშდა — ჩემპიონატშიც კარგად წაუვიდა საქმე და თასის ნახევარფინალშიც გავიდა. თუმც ასეთი წარმატების მიუხედავად, მახარაძე „ზესტაფონიდან“ გაუშვეს.

მახარაძის „ზესტაფონიდან“ წასვლის თაობაზე კლუბის განმარტება ასეთია: „გადაწყვეტილება თვითონ მახარაძემ მიიღო და კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაიაც მწვრთნელის თხოვნას დათანხმდა. მახარაძესა და კოკაიას შორის სატელეფონო საუბარი შედგა და აღმოჩნდა, რომ კლუბის განვითარების პოლიტიკის თაობაზე მხარეებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ“.

„ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი ამ დროისთვის კობა ჟორჟიკაშვილია, ვინც იმავდროულად „ზესტაფონი 2“-საც ხელმძღვანელობს. მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

— არ ვიცი, რა უთანხმოება მოუვიდათ კოკაიას და მახარაძეს. მას შემდეგ, რაც მახარაძე „ზესტაფონიდან“ წავიდა, მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხე. „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას სეზონის ბოლომდე შევასრულებ და მერე რა როგორ იქნება, ჯერ არ ვიცი.

— კოკაიას თუ ესაუბრეთ?

— დიახ, როცა მახარაძე „ზესტაფონიდან“ წავიდა, საქმის კურსში ჩამაყენეს. კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, რომ „ზესტაფონს“ მე უნდა ჩავდგომოდი სათავეში.

— ერთი ვერსიით, მახარაძემ იმიტომ დატოვა გუნდი, რომ მისგან გამოცდილი ფეხბურთელების გაშვებას და ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდების დაყენებას მოითხოვდნენ...

— კოკაია არასდროს ჩარეულა შემადგენლობის შერჩევაში. ჩემთვისაც არ წაუყენებია იმის პირობა, გუნდიდან გამოცდილი ფეხბურთელები გაუშვი და ახალგაზრდები ათამაშეო. ახალგაზრდებმა კონკურენციით უნდა მოიპოვონ ადგილი ძირითადში და არა საპასპორტო მონაცემებით. იონანიძე, ჭანტურია, თოდუა, თურმანიძე... ასეთი გამოცდილი ფეხბურთელების არგამოყენება როგორ შეიძლება?!

*მახარაძის „ზესტაფონიდან“ წასვლასთან დაკავშირებით კულუარებში სხვა ვერსიაცაა. ამბობენ, რომ „ზესტაფონში“ ბოლო დროს პრემიები არ დარიგებულა, გუნდის გამოცდილი ფეხბურთელები ამით უკმაყოფილონი არიან და მახარაძესაც ამ უკმაყოფილების შესახებ უსაუბრია კოკაიასთან. „ზესტაფონის“ პრეზიდენტს მწვრთნელისთვის უკმაყოფილო ფეხბურთელების შევიწროება მოუთხოვია, რაზეც მხარაძე არ დათანხმებულა. იმისაც ამბობენ, მახარაძის გადაბირებით უკვე დაინტერესდა რამდენიმე გუნდი და ყველაზე უფრო „ბორჯომი“ აქტიურობსო.*



თემურ მახარაძე

**დავით თაგართქილაძე**

გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · მეორე წრე · 22 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ფეხბურთის დებიუტი ბორჯომში

## რა არის ღირსება ჩერნიშოვის დინამოსთვის?

**დავით თავართქილაძე ბორჯომიდან**

— ეს საბავშვო ბაღია, 2:1-ს ვიგებდით და თავადვე დავანგრიეთ ჩვენი თამაში. ვერ გამიგია, უპირატესობა გქონდეს და ასე არანორმალურად რატომ უნდა მოიქცე?! — ასეთი იყო ნამატჩევს დინამოელთა რუსი დამრიგებლის ანდრეი ჩერნიშოვის სიტყვები.

ჩერნიშოვი დინამოელი ლევან აკობიას გაძევებას გულისხმობდა, რომელმაც გუნდი გუნდზე წაკინკლავებისას გონსალო დე პორასს ხელი ჰკრა, არგენტინელიც მოედანზე გაიშოტა და არბიტრმა ლაშა სილაგავამაც ამიტომ გააძევა აკობია.

„დანებებას არ ვაპირებთ, თუ კაცები ვართ, სეზონი ღირსეულად უნდა ჩავამთავროთ“ — მიაყოლა ნათქვამს ჩერნიშოვმა.

აი, ასეა „დინამოს“ საქმე. ჩერნიშოვს კი აღარ ჩავეძიეთ, თუ რას გულისხმობდა სეზონის ღირსეულად ჩამთავრებაში — „დინამო“ თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან ჩამოსცილდა, ხოლო საჩემპიონო შანსი იოტამდე დაიპატარავა.

არადა, „დინამო“ ორჯერ დაწინაურდა ამ შეხვედრაში. ედიკ საჯაიამ ლადო ახალაია მოცელა და გიორგი მეგრელაძემაც უნაკლოდ შეასრულა 11-მეტრიანი, მაგრამ პირველი გოლის ფაქტორმა დადებითად არ იმოქმედა „დინამოზე“, ხოლო „ბორჯომი“ გახელდა და არგენტინულად უპასუხა მოწინაალმდეგეს — დე პორასმა პასი გაუჭრა დარიო სებალეს, მისი დარტყმული ზვიად სტურუამ ხელებში ვერ შეიმაგრა და დამატებაზეც იმავ სებალემ იმარჯვა — 1:1.

არგენტინული დუეტი და რევაზ გეწაძე — ასეთი იყო ბორჯომელთა დამრტყმელი ძალა შეტევაში, რომელიც „დინამოს“ მშვიდი ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა.

ხარვეზები იყო „ბორჯომის“ დაცვაში. ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი უნაკლოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ შეუპოვრად, დიდი ჟინითა და სწორი ტაქტიკით ითამაშა და მყვირალა გამარჯვებაც მოიპოვა.

„დინამო“ მეორედ მაშინ დაწინაურდა, მიხეილ ბობოხიძის ჩინებული პასით გიორგი მეგრელაძე მარჯვნიდან რომ შეიჭრა „ბორჯომის“ საჯარიმოში და ზურაბ მამალაძის კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი.

აქედან ერთ წუთში დე პორასი გააფრთხილეს და მოედანზე უცხო პირი შეიჭრა, არბიტრისკენ გაქანდა, მაგრამ უგუნურის დაკავება მოხერხდა.

„ბორჯომს“ ბრაზი მოემატა, ნაკუთხურალ ბურთს ალექსანდრე ბურნაძემ შეაგება თავური და „დინამო“ სტურუამ იხსნა. მოედანზე და ტრიბუნაზე ვნებამ იმატა და ამ დროს მოხდა ის წაკინკლავება, რის შედეგადაც თბილისელები კაცნაკლულნი დარჩნენ.

ამან კიდევ უფრო მეტი ილაჯი შესძინა „ბორჯომს“ და მასპინძლებმა ერთხელაც შეაგდეს გამთანაბრებელი — ლევან სანიკიძის ფლანგური ჯარიმა ბურნაძემ თავურით დააგვირგვინა — 2:2.

შესვენების შემდეგ „ბორჯომი“ დაოკებული ჩანდა, ფრთხილობდა ათი კაცით დარჩენილი „დინამოც.“ მოედანზე საინტერესო აღარაფერი ხდებოდა, მაგრამ ტაიმის შუაწელიდან „ბორჯომმა“ თამაშის გამწვავებ გარისკა. სანიკიძის კუთხურის შემდეგ დე პორასმა ხარიხა შეაზანზარა, ცოტაც და, შოთა ჯიქიამ ახლოდან თავურით ააცილა მიზანს.

და დადგა 85-ე წუთი — მოედნის ცენტრიდან ლაშა ნოზაძემ საკუთარი კარისკენ გაგზავნა ბურთი და სტურუამ ის ხელებში მოიგდო — არბიტრმა სილაგავამ თავისუფალი დარტყმა დანიშნა, რამაც დინამოელები ალაშფოთა. ნამატჩევს „დინამოს“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა თქვა, ნოზაძე აუტში გზავნიდა ბურთს, რომელიც მეტოქე ფეხბურთელს მოხვდა, ასეთი რიკოშეტის შემდეგ მიუვიდა სტურუას და მანაც ამიტომ აიღო ხელშიო.

ასე იყო თუ ისე, „თავისუფალი“ საჯაიას დაუგორეს და 3:2.

შეხვედრის მიწურულს ვლადიმერ გოჩაშვილმა პენალტი მოინაგრა, რაც „დინამოს“ არ გაუპროტესტებია, წერტილი კი სანიკიძემ დასვა.

საფინალო სასტვენის შემდეგ რამდენიმე ათეული ბორჯომელი ქომაგი მოედანზე გადაეშვა, თავიანთი გუნდის ფეხბურთელებს გამარჯვებას ულოცავდნენ.

— პირველმა გაშვებულმა გოლმა სტიმული მოგვცა, „დინამოსთან“ თამაში მართლაც სულ სხვაა. მეორე ტაიმის პირველ ნახევარში განგებ არ ვაქტიურობდით, ფიზიკურად კარგად ვერ ვართ მომზადებულები და ძალებს ვზოგავდით, ენერგია და შეცვლები მატჩის ბოლოსთვის შემოვინახეთ, რამაც შედეგი მოგვიტანა. ბორჯომში დიდი ფეხბურთის დებიუტი შედგა — გვითხრა მატჩის შემდეგ ბორჯომელთა დამრიგებელმა ვლადიმერ ხაჩიძემ.

მატჩის შემდეგ კომენტარი „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** გააკეთა...

— უკმაყოფილო ვარ როგორც შედეგით, ასევე ბორჯომის სტადიონზე შექმნილი ვითარებით. მოედნის სიახლოვეს იმყოფებოდნენ პიროვნებები, რომლებსაც არანაირი საქმე არ ჰქონდათ მატჩის მსვლელობასთან. მეტიც, ხშირად ადგილი ჰქონდა უცხო პირების მოედანზე შეჭრას და მსაჯზე ზეწოლის განხორციელებას. ესენი იყვნენ „ბორჯომის“ ხელმძღვანელები, პოლიციის თანამშრომლები და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები. ყოველივე დაფიქსირებულია ჩვენს ვიდეოჩანაწერში. მიმაჩნია, რომ აღნიშნულმა ინციდენტებმა გავლენა იქონია მატჩის მსვლელობაზე. კერძოდ, დინამოელები და განსაკუთრებით არბიტრი იმყოფებოდნენ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ. ჩემი აზრით, მასპინძელთა სასარგებლოდ მიღებული მსაჯის რამდენიმე გადაწყვეტილება მისი დაშინების შედეგია.

ბორჯომი. 1 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 5 000 (ტევადობა 5 000)

### ბორჯომი 4:2 დინამო

0:1 მეგრელაძე (4პ), 1:1 სებალე (10), 1:2 მეგრელაძე (18), 2:2 ბურნაძე (41), 3:2 საჯაია (85), 4:2 სანიკიძე (89პ)

**ბორჯომი:** მამალაძე, ე. საჯაია, ა. ბურნაძე (ვ. გოჩაშვილი 75), ბაქრაძე, მემარნიშვილი, მესხი, სანიკიძე, გეწაძე (შ. ჯიქია 78), სებალე, დე პორასი, ლ. მერებაშვილი
*სათადარიგონი:* გაბისკირია, თედიაშვილი, ტალახაძე, ლაზარაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**დინამო:** სტურუა, ამბროზიო, გიგაური, შაშიაშვილი, აკობია, ლ. ახალაია (ბობოხიძე 10), ლ. ნოზაძე, კ. მახარაძე (უ. ლობჟანიძე 80), ვ. დარასელია, მეგრელაძე, ჯ. დვალი (ქემოკლიძე 42)
*სათადარიგონი:* ლორია; ორბელაძე, გ. მერებაშვილი, ს. იაშვილი
**მწვრთნელი:** ანდრეი ჩერნიშოვი

**გაფრთხილება:** საჯაია (8), მახარაძე (10), დე პორასი (19), ბურნაძე (41), ქემოკლიძე (81)

**გაძევება:** აკობია (38)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ვ. ელისაბედაშვილი

**დამკვირვებელი:** ს. კოტრიკაძე

ქუთაისი. 1 აპრილი. 16 საათი. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 1:0 კახეთი

1:0 კვერნაძე (73)

**ტორპედო:** ჭურაძე, ბერუაშვილი, დარსანია (ხურცილავა 46), ზ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე (ლალაძე 77), გამეზარდაშვილი, პარამონოვი, კორღალიძე, დოლონაძე, გ. ყიფიანი (გორგოძე 70), მ. ლონლაძე
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; მ. ძოძუაშვილი, დ. ჯანაშია, ჩილვინაძე
**მწვრთნელი:** იური კვერნაძე

**კახეთი:** ცინაძე, ტარუღაშვილი, კობაიძე, ი. მაღლაფერიძე, ნ. დავითაშვილი, კევლიშვილი (ტეტიაშვილი 84), გიორგობიანი, როსტიაშვილი (კუპრაშვილი 75), სოსელია, დ. ბურდული, კობახიძე
*სათადარიგონი:* ჩახუტაშვილი, ა. კვირკველია, ბიძინაშვილი
**მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი

**გაფრთხილება:** როსტიაშვილი (75), კევლიშვილი (84)

**მსაჯები:** დ. სანაია; გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე; ჯ. ბუიშვილი

**დამკვირვებელი:** ზ. პეტრიაშვილი

# ტორპედო ტუზებს აღარ მალავს



მატჩის ერთადერთ გოლს საფუძველი ლევან კორღალიძემ (№8) ჩაუყარა

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

„ტორპედომ“ ზედიზედ მეორედ მოიგო და მიმდინარე ჩემპიონატში პირველად ალზევდა სატურნირო ცხრილის მეათე საფეხურამდე. ქუთათურებმა კონკურენტ თელავის „კახეთს“ სძლიეს მინიმალური სხვაობით, რითაც გასავარდნითა ზონას საკმაოდ დაშორდნენ. ყველაფერთან ერთად, ჩანს, ქუთათურთა ფინანსური მდგომარეობაც გამოსწორების გზაზეა, რაზეც თამაშის ხარისხის გარდა, გუშინწინ სტადიონზე კაზინოების ქსელ „სამი ტუზის“ წარმომადგენლის მოსვლაც მეტყველებს.

პირველი ნახევარი სანახაობრივი გამოდგა — უკვე მე-5 წუთზე გიორგი ყიფიანის პასით ლევან კორღალიძეს შეეძლო გატანა, თუმცა თელაველთა მეკარემ იყოჩაღა. ხუთ წუთში კი ყოფილ ტორპედოელ მიხეილ სოსელიას შეეძლო გატანა — მცველების უყურადღებობა სათანადოდ ვერ გამოიყენა — ძლიერად, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

ტაიმის ყველაზე მწვავე მომენტი კი 34-ე წუთზე ვნახეთ: დოლონაძის თავურისას სტუმრები გაშვებული გოლისგან ხარიხამ იხსნა.

შესვენების შემდეგ ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ და თამაშიც შედარებით დაბალ ტემპში წარიმართა.

მატჩის ბოლოს კი ტორპედოელებმა შეტევებს უმატეს და ერთიორი სახიფათო მომენტიც შექმნეს. ერთ ეპიზოდში დავით ხურცილავა რამდენიმე თელაველს გასცდა და საჯარიმოში მყოფ რევაზ კვერნაძეს მიაწოდა ბურთი, ამან კი ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა მიზანს.

თამაშის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე მასპინძლებმა მაინც გაიხარეს — ლევან კორღალიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, დოლონაძემ ბურთი თავით დაუგდო კვერნაძეს და 1:0.

### პრესკონფერენცია

*ჯემალ მახარაშვილი:* ვფიქრობ, არ უნდა წაგვეგო ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები... საერთოდ, მსაჯობაზე ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ დღეს მათ ყველა საკამათო ეპიზოდი „ტორპედოს“ სასარგებლოდ გადაწყვიტეს. ერთ-ერთი შეხვედრისას მე და დავით სანაიას შეკამათება მოგვივიდა, რაც, ეტყობა, ჯერაც გულში უდევს.

*იური კვერნაძე:* დღევანდელმა თამაშმა დამარწმუნა, რომ სწორ გზას ვადგავართ, პროგრესი აშკარაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 22 | 17 | 3 | 2 | 41:15 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 16 | 4 | 2 | 43:12 | 52 |
| ზესტაფონი | 22 | 13 | 5 | 4 | 31:17 | 44 |
| დინამო | 22 | 13 | 4 | 5 | 36:17 | 43 |
| ბორჯომი | 22 | 13 | 2 | 7 | 38:19 | 41 |
| ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 27:15 | 41 |
| ბათუმი | 22 | 12 | 5 | 5 | 29:16 | 41 |
| ლოკომოტივი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:27 | 34 |
| კოლხეთი | 22 | 8 | 4 | 10 | 20:23 | 28 |
| ტორპედო | 22 | 6 | 6 | 10 | 18:26 | 24 |
| კახეთი | 22 | 7 | 2 | 13 | 20:30 | 23 |
| დილა | 22 | 6 | 3 | 13 | 23:31 | 21 |
| ცხინვალი | 22 | 6 | 3 | 13 | 19:41 | 21 |
| სოხუმი | 22 | 4 | 2 | 16 | 21:49 | 14 |
| სპარტაკი | 22 | 2 | 5 | 15 | 5:37 | 11 |
| თბილისი | 22 | 2 | 2 | 18 | 12:40 | 8 |

# ევროპამ საქართველოს თბილისი მოსთხოვა


ზურაბ კაკაბაძე

ბადრი კალოლაძის ფოტო

გადაწყვეტილი ამბავია — 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჩვენი ჯგუფის მატჩები თბილისში გაიმართება. საქართველოს ხელბურთის ასოციაციის პრეზიდენტისა და პრეზიდიუმის რამდენიმე წევრის სურვილი იყო, ჯგუფური ეტაპისთვის თელავს ემასპინძლა. მეტიც, ოპონენტების არგუმენტების მიუხედავად, რომ თელავის დარბაზი სტანდარტებში ვერ ჯდებოდა და ხელბურთის პოპულარიზაციისთვის ტურნირის თბილისში გამართვა უკეთესი იქნებოდა, ევროპის ხელბურთის ფედერაციას ფაქსიც გაეგზავნა, რომ ჯგუფური ეტაპი თელავში გაიმართებოდა.

ევროპიდან კი პასუხმა არ დააგვიანა: „თქვენს მიერ თავდაპირველად მოწოდებული ინფორმაციისა და თელავის დარბაზის არასტანდარტულობის გათვალისწინებით, ევროპის ხელბურთის ფედერაცია ტურნირამდე ასეთ მოკლე ვადაში არ მიიღებს არანაირ ცვლილებას ტურნირის თბილისის გარეთ ჩატარების შესახებ. ამასთან, უპირველესი პრიორიტეტი უნდა იყოს ტურნირის უპრობლემო საორგანიზაციო უზრუნველყოფა.“ — ეს არის ერთი ამონარიდი ევროპის ხელბურთის ფედერაციიდან გამოგზავნილი ფაქსიდან, რომელსაც ხელს საშეჯიბრო კომისიის თავმჯდომარე მარკუს გლაზერი აწერს.

ამ ფაქსით ევროპის ფედერაცია ჯგუფური ეტაპის თბილისში გამართვას ითხოვს კატეგორიულად. ქართულ მხარეს ან დასტური უნდა ეთქვა, ან დისკვალიფიკაცია „აეკიდა“. პასუხის ბოლო ვადა დღეს იწურება. როგორც ჩვენი ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გუშინ გვითხრა, დასტური დღეს გაიგზავნება. ტურნირის მასპინძელი დარბაზი კი სპორტის სასახლე იქნება. სხვათა შორის, კაკაბაძე პრეზიდიუმის იმ წევრთა რიცხვში იყო, რომლებიც თავიდანვე თბილისის კანდიდატურას უჭერდნენ მხარს.

— გადაწყვეტილია და არაფერი შეიცვლება. ჯგუფური ეტაპი თბილისში, სპორტის სასახლეში გაიმართება. ამის შესახებ ევროპის ხელბურთის ფედერაციას ფაქსს გავუგზავნით — *გვითხრა გუშინ* **ზურაბ კაკაბაძემ**.

**— ტურნირი 14 აპრილს იწყება. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება მოესწრება?**

— მოვასწრებთ, მაგრამ, საერთოდ, რა საჭირო იყო ასეთი ექსტრემალური ვითარების შექმნა?! თავიდანვე რომ ვაცნობეთ ევროპის ფედერაციას ჯგუფურ ეტაპს თბილისში ვუმასპინძლებთო, მერე გადაწყვეტილება არ უნდა შეცვლილიყო.

თელავის დარბაზი ევროპის ჩემპიონატის დონეს ვერ აკმაყოფილებს. არ არის სასტუმრო, სადაც შეიძლება ოთხი ნაკრების განთავსება. ამის გათვალისწინებით, ევროპის ფედერაციის მოთხოვნა საფუძვლიანია. თანაც, თელავში 140 დასაჯდომი ადგილია და ქომაგთა ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ.

**— თელავის შერჩევისას ისიც ითქვა, რომ იქ ნაკლები აჟიოტაჟი იქნებოდა...**

— ვერაფერი არგუმენტია. საქართველო არ არის განებივრებული მაღალი რანგის ტურნირებით. როცა ასეთი შანსი გეძლევა, ყველაფერი უნდა იღონო, რათა ღირსეულად უმასპინძლო, მკვდარი ხელბურთი რამენაირად გამოაღვიძო, ხალხს უნდა ანახო, კი არ დაუმალო. თბილისში არის სასტუმროები, რომლებიც ყველა მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, არის დარბაზი, რომელიც ზედგამოჭრილია ამგვარი ტურნირებისთვის. მესმის, რომ რეგიონებშიც ცდილობენ ხელბურთის პოპულარიზაციას, მაგრამ თელავი ვერ აკმაყოფილებს ამ დონეს. საკლუბო ტურნირი რომ იყოს, კი, ბატონო, მაგრამ სანაკრებო თამაშისთვის თელავის დარბაზი მზად არ არის.

**— სპორტის სასახლის დირექციას უკვე ესაუბრეთ?**

— დიახ, ყველაფერზე შევთანხმდით. იქ არის ორი ნორმალური გასახდელი, საშხაპეები. მოედანი კარგ მდგომარეობაშია. 10 აპრილს ხალიჩას აიღებენ. იცით, სპორტის სასახლეში საჩოგბურთო, დევისის თასის მატჩები გაიმართება. მომდევნო დღეს მოედანს დავხაზავთ და სტუმრებისთვის გავამზადებთ. ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი დღე სჭირდება. ასე რომ, მოსახდენი მოხდა, შესარჩევი ეტაპი თბილისში გაიმართება.

*20-წლამდელთა ევროპის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპის მატჩები 14-15-16 აპრილს გაიმართება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები პოლონეთი, რუმინეთი და კვიპროსი არიან. ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.*

**ბაჩო სვანიძე**




ჟაკ როგი, ემზარ ზენაიშვილი და მარიო ვასკეს რანია

# გენმდივანი დაგვიფასეს ზენაიშვილის ზეობა

**დიდად** დააფასეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისთვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის (ANOC) უმაღლესი — ღირსების ორდენით დააჯილდოვეს. ეს მოხდა გუშინ სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში ANOC-ის მე-15 გენერალურ ანსამბლეაზე, რომლის მუშაობაშიც მსოფლიოს 201 ქვეყნის, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის, სპორტული სტრუქტურების 1500-ზე მეტი ლიდერი მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ ეს ჯილდო გადაეცათ ეკვადორის სახელმწიფოს ყოფილ პრეზიდენტს, ბრაზილიის, არგენტინის, ალჟირის, ინდოეთის, ფილიპინების, მონღოლეთის, ტაილანდის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტებს და ეოკ-თა კონტინენტალური ასოციაციების ხელმძღვანელებს, ასევე ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორს პერე მიროს. მათ ჯილდოები გადასცეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა მარიო ვასკეს რანიამ.

საინტერესოა, რომ ეს ჯილდო 1983 წელს დაარსდა და დღემდე მისი კავალერი 150-მდე კაცია.

რაც შეეხება სეულში მიმდინარე გენერალურ ასამბლეას, იქ განიხილავენ მსოფლიოში ოლიმპიური მოძრაობის აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ეხება სპორტში ძალადობას, კორუფციას, დოპინგის გამოყენებას. ასევე მსჯელობენ ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მომავალზე, მათ პროგრამაზე. მოისმენენ პეკინის ზაფხულის 2008 წლის, ვანკუვერის ზამთრის 2010 წლის და ლონდონის ზაფხულის 2012 წლის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების ანგარიშებს თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო სხდომის ბოლო დღეს გაკეთდება ინფორმაცია ზამთრის 2014 წლის თამაშების აპლიკანტი ქალაქების მიერ წარდგენილ დოკუმენტთა პაკეტის შესახებ.

ამის გარდა, 5 აპრილს შედგება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრების შეხვედრა ხუთივე კონტინენტის ეოკ-თა ხელმძღვანელებთან.

**რუსუდან აფციაური**
*სეულიდან*



## კიბისკეინი. აშშ. ჰარდი

ქალები. საპრიზო 3 450 000 $
ფინალი
**სვეტლანა კუზნეცოვა** (12, რუსეთი) — მარია შარაპოვა (4, რუსეთი) — 6:4 6:3

კაცები. საპრიზო 3 450 000 $
ნახევარფინალი
**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — დავიდ ფერერი (117 ესპანეთი) — 6:1 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (6, ხორვატია) — დავიდ ნალბანდიანი (3, არგენტინა) — 6:1 6:2

# სვეტამ მაშა სარკეში ჩაახედა

მარია შარაპოვამ ვერ შეძლო კიმ კლაისტერსის შარშანდელი მიღწევის გამეორება და ზედიზედ მეორე მასტერსის მოგება. ამაში კოხტა რუსგოგოს ხელი შეუშალა მისმა ზორბა თანამემამულემ სვეტლანა კუზნეცოვამ, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა კიბისკეინის დასკვნითი მატჩები. მისმა ზე-აგრესიულმა და ძალისმიერმა თამაშმა ჩოგანი ამელი მორესმოს შემდეგ მარია შარაპოვასაც დააზრევინა. თუმც ჯერ ორიოდე სიტყვა კაცთა ნახევარფინალებზე ვთქვათ.

მოლოდინისამებრ იოლად მოიგო როჯერ ფედერერმა. დავიდ ფერერმა მხოლოდ მეორე სეტის დასაწყისში გაიფაფხურა, როცა მეტოქეს ბრეიკი გაუკეთა, მაგრამ შვეიცარიელმა მალევე აღადგინა სტატუს კვო და მალე ფინალის საგზურიც გაინაღდა.

ივან ლიუბიჩიჩი თუ ასე გაანადგურებდა დავიდ ნალბანდიანს, ვინ იფიქრებდა. ხორვატს ტყუილად კი არ უხაროდა თამაშის წინ, ჩემი მოწოდება დავიბრუნე და ამიერიდან ყველანი მიფრთხილდითო — წესით არც ფედერერს უნდა გაუადვილდეს ლიუბიჩიჩის წამოქცევა.

გუშინდელმა ქალთა ფინალმა კი ფაქტობრივად თავიდან ბოლომდე კუზნეცოვას კარნახით ჩაიარა. სვეტლანას უკანა ხაზიდან უძლიერესად დარტყმულებს და მაღალ სათამაშო ტემპს შარაპოვამ პრაქტიკულად ვერაფერი დაუპირისპირა. მარიამ სცადა, აჰყოლოდა მეტოქეს ძალისმიერ თამაშში, მაგრამ სულ ტყუილად.

შარაპოვას არ აღმოაჩნდა საკმარისი სათამაშო არსენალი საიმისოდ, რომ თავის თანამემამულეს გამკლავებოდა. ამან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მარიამ კვლავაც ბევრი რამ უნდა გამოასწოროს და ისწავლოს, რათა ბოლომდე დახვეწოს თავისი თამაში.

კუზნეცოვამ კი, როგორც იქნა, მიაღწია სასურველ ფორმას და 2004 წლის მერე პირველი ტიტულის მოპოვება შეძლო.

„ურთულესი შეხვედრა იყო, სვეტლანა ორივე ხელიდან უძლიერესად ურტყამდა, რის გამოც მე ზედიზედ ორი ქულის მოგებაც მიჭირდა. თან ნახევარფინალის შემდეგ გადაღლილი ვიყავი.. ცოტა ხნით კი უნდა დავისვენო, თორემ..“ — განაცხადა შარაპოვამ ფინალის შემდეგ.

„რთული ტურნირი და კიდევ უფრო რთული ფინალი იყო. მაგრამ ჩემი თამაში ვიპოვე და ამით ძალიან ბედნიერი ვარ“ — ასეთი იყო გახარებული კუზნეცოვას ნათქვამი ლევი კომენტარი.


სვეტლანა კუზნეცოვა

AFP

**კახა ლომჯაშვილი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მესამე ეტაპი

# ალონსომ ათამდე დაამრგვალა

ფერნანდო ალონსოს ასე წარმატებულად შარშანდელი „ოქროს“ სეზონიც კი არ დაუწყია. სამ რბოლაში ორი გამარჯვება და ერთიც მეორე ადგილი ხომ ლამის აბსოლუტური შედეგია და გვეეჭვება, რომ ვინმემ შეძლოს 24 წლის ესპანელი ვარსკვლავბიჭუნას ლიდერობის ხელყოფა. ამის თქმის საბაბს კი სამი სასტარტო ეტაპის შემდეგ ნანდოს უახლოეს მდევრებთან უკვე ორმაგი უპირატესობა და, რაც მთავარია, პრაქტიკულად უნაკლო ჯირითი გვაძლევს.

მელბურნში შაბათს კვალიფიკაციისას ჩემპიონს მესამე შედეგი ჰქონდა, ხოლო რბოლა აშკარა უპირატესობით მოიგო. ერთი სიტყვით, იმის მიუხედავად, რომ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის ხშირი გამოჩენის გამო ოთხჯერ(!) მოუხდა სალიდერო პოზიციის დაცვა, ალონსომ ყველაფერი ათიანზე შეასრულა და ოთხწლიან კარიერაში მეათე დიდი პრიზი მოიგო.

საპოულე საუკეთესო შედეგი ჰონდელ ჯენსონ ბატონს ჰქონდა და სიმპათიური ბრიტანელის ქომაგებსაც მისი პირველი საკარიერო გამარჯვების იმედი გაუჩნდათ. მით უფრო მას შემდეგ, რაც გასახურებელი წრის ბოლოს ბატონის გვერდით მდგარ ჯანკარლო ფიზიკელას ძრავა ჩაუქრა და ბრძოლის ყველაზე უკან, პიტლაინიდან დაწყება მოუხდა.

აქვე ვიტყვით, რომ ფიზიკოს განახლებული ბოლიდს ფინიშამდე ხინჯი აღარ გასჩენია და ბოლოდან დაწყების შემდეგ მეხუთე ადგილიც სანაქებო შედეგად ჩაეთვლება.

კარგა ხანია, მოვლენებით ასე მდიდარი რბოლა არ გვინახავს. ფერარელებს ჯერ კიდევ შაბათს დაეწყოთ პრობლემები — ფელიპე მასამ მანქანა ბარიერს მიაბეჭდა, მიხაელ შუმახერი კი მხოლოდ მე-11 შედეგს დასჯერდა. სტარტზე შუმიმ ერთი საფეხურით აინაცვლა, რადგან მეცხრე შედეგიანი ჟაკ ვილნევი ძრავის შეცვლის გამო ათი ადგილით ჩამოაქვეითეს.

სტარტს დავუბრუნდეთ. ბატონმა აქტიური შეხლის მიუხედავად, მეწინავეობა ალონსოს არ დაუთმო, თუმც ნათელი ჩანდა, რომ ინგლისელისთვის ლიდერობის ჩამორთმევა მხოლოდ დროის ამბავი იყო. უკვე დასაწყისში სეიფთი-კარი გამოვიდა ტრასაზე, პირველივე წრის შემდეგ კი სამნი — მასა, როსბერგი და ტრული გამოეთიშნენ ბრძოლას.

მელბურნის ვიწრო ქუჩებში გასწრება ძალიან ძნელია, თუმც თავიდან არაერთი სარისკო მანევრი მოხდა, შემდეგ კი ბრძოლა დამშვიდდა და აღარ გამძაფრებულა.

მეხუთე წრეზე კრისტიან კლიენს გზა აებნა და დამუხრუჭებისას მარცხნივ ბარიერს მიეხეთქა.

სასტარტო ავარიების გამო უსაფრთხოების მანქანამ რბოლის მსვლელობაში კორექტივები შეიტანა, მაგრამ მიუშვა თუ არა ქარავანი, ალონსომ სასტარტო სწორის ბოლოს დიდოსტატურად ჩამოიტოვა ბატონი. რბოლის მეორედ შეფერხების შემდეგ საწყალ ბატონს იქვე გაასწრო კიმი რაიკონენმაც.

სამარცხვინო ამბავი დაემართა მიხაელ შუმახერს — ვილაც ვიტანტონიო ლიუცციმაც კი ჩამოიტოვა. ეტყობა, მიხაელს პრობლემები მანამდეც ჰქონდა, რაც ერთი-ორჯერ ტრასიდან მოსრიალებისას გამოჩნდა, შუა დისტანციაზე კი შვიდგზის ჩემპიონისთვის შეუფერებელი რამ მოხდა — ბატონის გასწრების მცდელობისას მიხაელის „ფერარი“ 160 კმ/სთ სიჩქარეზე მოსახვევში ფართოდ შევიდა, ბორდიურზე შეხტა და გზააბნეული, საშინელი ძალით ეძგერა ბეტონის კედელს. მანქანა თითქმის მთლიანად დაიშალა და შუმიც სხვა არაერთის მსგავსად ბრძოლას გამოეთიშა.

ალონსომ კი ღირსეულად დაიცვა სალიდერო პოზიცია და რბოლისას სეიფთი-კარის ოთხგზის(!) გამოსვლის მიუხედავად, პრობლემა ერთხელაც არ გასჩენია.

მეოთხე რესტარტის შემდეგ ნანდომ ორ წრეში ექვსწამიანი უპირატესობა შეიქმნა და წარმატებით მიიყვანა საქმე მოგებამდე.

ბატონი თითქმის ბოლომდე ჩასათვლელ ზონაში მიდიოდა — მეხუთე იყო, მაგრამ ბოლო წრეზე მის „ჰონდას“ ცეცხლი წაეკიდა და ფინიშამდე ოციოდე მეტრით ადრე გზისპირას გაუჩერდა.

**გია ახალაძე**



ფელიპე მასამ თავისი ფერარი სხვა ბოლიდებს შეაზილა

### რბოლის შედეგები

**ავსტრალიის დიდი პრიზი**
**2 აპრილი. მელბურნი**
დისტანცია 57 წრე — 302,3კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (3) | ალონსო (რენო) | 1:34.27,9 (192,0 კმ/სთ) |
| 2. | (4) | რაიკონენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 1,8 |
| 3. | (6) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 24,8 |
| 4. | (8) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 31,0 |
| 5. | (2) | ფიზიკელა (რენო) | 38,4 |
| 6. | (9) | ვილნევი (BMW-ზაუბერი) | 49,6 |
| 7. | (17) | ბარიკელო (ჰონდა) | 51,9 |
| 8. | (19) | სპიდი (ტორო როსო) | 53,8 |
| 9. | (12) | კულტჰარდი (რედ ბული) | 54,0 |
| 10. | (1) | ბატონი (ჰონდა) | 1 წრით |
| 11. | (18) | ალბერსი (MF 1) | 1 წრით |
| 12. | (21) | სატო (სუპერ აგური) | 2 წრით |
| 13. | (22) | იდე (სუპერ აგური) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (5) | მონტოია (მაკლარენი) | გაიარა 45 წრე |
| (20) | მონტეირო (MF 1) | 38 |
| (13) | ლიუცი (ტორო როსო) | 36 |
| (11) | მ.შუმახერი (ფერარი) | 31 |
| (7) | ვებერი (უილიამსი) | 21 |
| (14) | კლიენი (რედ ბული) | 3 |
| (10) | ტრული (ტოიოტა) | 0 |
| (15) | როსბერგი (უილიამსი) | 0 |
| (16) | მასა (ფერარი) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ბატონი 1.25,229 (224,0 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რაიკონენი 1.26,045 (221,9 კმ/სთ)

| F1 | ბაჰრეინი 12 მარტი | მალაიზია 19 მარტი | ავსტრალია 2 აპრილი | სან მარინო 23 აპრილი | ევროპა 7 მაისი | ესპანეთი 14 მაისი | მონაკო 28 მაისი | დ.ბრიტანეთი 11 ივნისი | კანადა 25 ივნისი | აშშ 2 ივლისი | საფრანგეთი 16 ივლისი | გერმანია 30 ივლისი | უნგრეთი 6 აგვისტო | თურქეთი 27 აგვისტო | იტალია 10 სექტემბერი | ჩინეთი 1 ოქტომბერი | იაპონია 8 ოქტომბერი | ბრაზილია 22 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო (რენო, ესპანეთი) | 10 | 8 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | 28 |
| 2 ფიზიკელა (რენო, იტალია) | ■ – | 10 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 3 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 6 | – | 8 | | | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 4 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 8 | ■ 3 | – | | | | | | | | | | | | | | | | 11 |
| 5 ბატონი (ჰონდა, დ. ბრიტანეთი) | 5 | 6 | ■ – | | | | | | | | | | | | | | | | 11 |
| მონტოია — 9, რ. შუმახერი — 7, ჰაიდფელდი, ვილნევი — 5, მასა — 4, ვებერი — 3, ბარიკელო, როსბერგი — 2, კლიენი, სპიდი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 რენო | 10 | ■ 18 | 14 | | | | | | | | | | | | | | | | 42 |
| 2 მაკლარენი | ■ 10 | 5 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | 23 |
| 3 ფერარი | 8 | 7 | – | | | | | | | | | | | | | | | | 15 |
| 4 ჰონდა | 5 | 6 | ■ 2 | | | | | | | | | | | | | | | | 13 |
| 5 BMW ზაუბერი | – | 2 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| ტოიოტა — 7, უილიამსი — 5, რედ ბული, სკუდერია ტორო როსო — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

■ პოულ-პოზიცია

კრივი

# ნუყილი ბრინჯაოთი ბაქოდან

ბაქოს A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირიდან საქართველოს მოკრივეთა ნაკრები ორი მედლით ბრუნდება. წონამოძატებულმა კონსტანტინე კუპატაძემ ლამის ნახევარწლიანი უქმობის შემდეგ რინგზე პირველივე ასვლა ბრინჯაოთი აღნიშნა. ქართული გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა და ათენის ოლიმპიადაზე ნაკრივებმა კუპატაძემ 64 კილოგრამში ნახევარფინალს რომ უწია, შაბათს გაცნობეთ. სამწუხაროდ, მეტად ვეღარ წაიწია.

მესამეზე გავიდა რევაზ ქარელაშვილიც (75კგ). კახაბერ ლაზარიშვილმა (54კგ), ვამეხ ტერაშვილმა (69კგ) და იაგო კილაძემ (81კგ) კი მეოთხედფინალში წააგეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



კონსტანტინე კუპატაძე

ტაეკვანდო

# თბილისში საქართველოც იჩემპიონა

1 აპრილს დიღომში ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრმა ტაეკვანდოისტთა თბილისის ღია პირველობას უმასპინძლა. ტურნირში მონაწილეობა თბილისისა და საქართველოს რეგიონების სკოლების გარდა აზერბაიჯანელმა სპორტსმენებმაც მიიღეს. ხალიჩაზე აღმოსავლური ორთაბრძოლების სხვა სახეობების მიმდევრებიც გავიდნენ.

ინდივიდუალურ ჩათვლაში მედლები 10 წონით კატეგორიაში გათამაშდა — 20 კილოგრამიდან მძიმე წონამდე. გუნდურში კი ხუთი გუნდი გამოვიდა. ჩემპიონი გახდა ტურნირის ორგანიზატორი სპორტკლუბი „საქართველო“, მეორეზე რუსთავის „ჯიქები“ გავიდა, ხოლო მესამეზე სპორტკლუბი „ლაზიკე“.

ტაეკვანდოისტები თვის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებასაც აპირებენ. მერე კი თბილისისა და საქართველოს პირველობის შედეგებით ნაკრები დაკომპლექტდება და რუმინეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ
## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 1 | ბლექბერნი-უიგანი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45. | 2 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 28 | პორტ ვეილი-დონსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 41 | ბერი-მაკლსფილდი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 22:45 | 42 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 55 | მორიკომბი-ჰერეფორდი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:45 | 56 | ალტრინჰემი-იორკი | 2.80 | 3.30 | 2.15 | 1.51 | 1.21 | 1.30 |
| 22:45 | 57 | კემბრიჯი-ექსეტერი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:45 | 58 | კონვი-უოკინგი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 22:45 | 59 | გრეივსენდი-გრეისი | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| 22:45 | 60 | ტემ'უორთი-ალდერშოტი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 89 | ფორფარი-სტირლინგი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 95 | ისტ სტირლინგი-კოუდენბითი | 8.50 | 5.50 | 1.20 | 3.33 | 1.05 | 1.00 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 113 | ალემანია-მიუნხენი 1860 | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 197 | ტრიესტინა-პესკარა | 2.25 | 2.50 | 3.50 | 1.18 | 1.36 | 1.45 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 218 | ტორესი-ფროზინონე | 2.40 | 2.50 | 3.30 | 1.22 | 1.38 | 1.42 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 267 | გრენობლი-ბასტია | 2.75 | 2.70 | 2.60 | 1.36 | 1.33 | 1.32 |
| | | **პორტუგალია სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 23:30 | 319 | რიუ ავე-სეტუბალი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 525 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 3.70 | 3.10 | 1.90 | 1.68 | 1.25 | 1.17 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 18:40 | 526 | სიგმა-ლიბერეცი | 2.60 | 2.80 | 2.55 | 1.34 | 1.28 | 1.33 |
| | | **შვედეთი ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 441 | გიოტებორგი-იოსტერსი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 21:00 | 443 | მალმიო-ჰეკენი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 444 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 502 | მილანი-ლიონი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 22:45 | 503 | ვილიარეალი-ინტერი | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.30 | 4.80 | 9.00 | 1.02 | 1.13 | 3.13 |
| 22:45 | 505 | იუვენტუსი-არსენალი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 506 | ზენიტი-სევილია | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 21:30 | 507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 22:30 | 508 | შალკე-ლევსკი | 1.36 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.16 | 2.75 |
| 23:00 | 509 | მიდლსბრო-ბაზელი | 1.80 | 3.50 | 4.00 | 1.18 | 1.24 | 1.86 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ბლექბერნი-უიგანი | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ბლექბერნი-უიგანი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12001 ბლექბერნი-უიგანი -- 1.70 ------------------- 1.90

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

13001 ბლექბერნი-უიგანი -- 1.70 ------------------- 1.90

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14001 ბლექბერნი-უიგანი -- 1.60 ------------------- 2.20

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ბლექბერნი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

16001 ბლექბერნი-უიგანი -- 1.30 ------------------- 2.70

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2.
(0:0 ითვლება წყვილად)

17001 ბლექბერნი-უიგანი -- 1.85 ------------------- 1.95

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXXII ტური

**ბირმინგემი 0:0 ჩელსი**
ბირმინგემი: ტეილორი, სეგლერი, კანინგემი, მარტინ ტეილორი, ბატი (კილკეინი 88), ტებილი, კლემენსი, ჯონსონი, პენანტი, პესკი, კ. კემპბელი (ფორსელი 57)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ჩელსი: ჩეხი, კარვალიუ, ფერეირა, დელ ორნო (კრესპო 64), ტერი, მაკელელე, დაფი (ჯო კოული 64), გუდიონსენი (ესიენი 68), რობენი, ლამპარდი, დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
მსაჯი: გალაჰერი
26 364 მაყურებელი

**არსენალი 5:0 ასტონ ვილა**
1:0 ადებაიორი (19), 2:0, 3:0 ანრი (25, 46), 4:0 ვან პერსი (71), 5:0 დიაბი (80)
არსენალი: ლემანი, სენდეროსი, ტურე, ებუე (ჯურუ 67), ფაბრეგასი (დიაბი 15), ფლამინი, ჟილბერტო, პირესი, ადებაიორი, რეიესი, ანრი (ვან პერსი 65)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ასტონ ვილა: სორენსენი, ბუმა, ბერი (აგბონლახორი 52), რიჯველი, დევისი, ლაკრუზი (კეხილი 52), ჰენდრი, მაკანი, მური, ფილიპსი (ანხელი 46)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბუმა
მსაჯი: ატკინსონი
38 183 მაყურებელი

**ბოლტონი 1:2 მანჩესტერი**
1:0 დევისი (26), 1:1 საა (33), 1:2 ვან ნისტელროი (79)
ბოლტონი: იასკალაინენი, ნგოტი, ბენ ჰაიმი, ფაიე, ნოლანი, ობრაიენი (ვანტი 74), იანაკოპულოსი, ოკოჩა, სპიდი (დიუფი 87), დევისი (ბორგეტი 87), პედერსენი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ვიდიჩი, ოში, რიჩარდსონი, ფლეტჩერი (ვან ნისტელროი 61), გიგზი, რონალდუ (პარკი 90), რუნი, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რონალდუ, რუნი, ფაიე
მსაჯი: უილი
27 718 მაყურებელი

**ევერტონი 2:2 სანდერლენდი**
1:0 ოსმანი (5), 1:1 სტიდი (16), 2:1 მაკფადენი (26), 2:2 დელაპი (80)
ევერტონი: რაიტი, ჰიბერტი, სტაბსი, ნევილი, სტაბსი (ბ. ფერგიუსონი 86), ფ. ნევილი, სტაბსი, იობო, ჩედილი, დევისი (არტეტა 62), ოსმანი, მაკფადენი, ბიტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
სანდერლენდი: დევისი, ჰოიტი, ბრაუნი, მაკარტნი, კოლინზი, დელაპი, ლოურენსი (ლე ტალეკი 69), ლიდბიტერი, ვაითჰედი, ბრაუნი (მერფი 75), სტიდი (სმიტი 84)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
მსაჯი: პოლი
38 093 მაყურებელი

**ფულემი 1:3 პორტსმუთი**
0:1 ონილი (1), 1:1 მალბრანკი (10), 1:2 ლუალუა (24), 1:3 ონილი (62)
ფულემი: კროსლი, ნაითი, ბრიჯი, ფოლცი, პირსი (კრისტენვალი 34), ბრაუნი, მალბრანკი, პემბროჯი (რაძინსკი 72), ბოა მორტე, მაკბრაიდი, ჯონი (ჰელგუსონი 66)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
პორტსმუთი: კილი, ობრაიენი, პრისუსი, პრისკე, ტეილორი, დალესანდრო (სტეფანოვიჩი 66), ონილი, დევისი, მენდეში, ლუალუა (კარადაში 89), მვარუვარი (ტოდოროვი 69)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: მალბრანკი, ონილი, მენდეში, ჰელგუსონი
გაძევება: ბრაუნი (74)
მსაჯი: ფოი
22 322 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:1 ტოტენჰემი**
1:0 ბოიერი (2), 1:1 რობიკინი (19), 2:1 ამეობი (25), 3:1 შირერი (30პ)
ნიუკასლი: გივენი, ელიოტი, კერი, მური, რემიჯი, ბოიერი, ემრე (კლარკი 63), სოლანო (ფაიე 80), ნზოგბია (ჩოპრა 90), ამეობი, შირერი
მწვრთნელი: გლენ როიდერი
ტოტენჰემი: რობინსონი, გარდნერი, დოუსონი, კელი, ლი, კერიკი, დავიდსი (მერფი 88), ჯენასი, ლენონი (დეფო 70), რობი კინი, მიდო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: მური, ემრე, დოუსონი, მიდო, რობი კინი
გაძევება: დოუსონი (61)
მსაჯი: დინი
52 301 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:2 ლივერპული**
0:1 ფაულერი (7), 0:2 სისე (38)
ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, ალბრეხტენი, რობინსონი, დეივისი, უოლვორკი, უოტსონი (კლემენი 62), გრინინგი, ჯონსონი, ელინგტონი, კანუ (კემპბელი 62), კამარა (გერა 46)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
ლივერპული: რეინა, კარაგერი, ჰიპია, ხაბი ალონსო, ფინანი, რიისე, სისოკო, კოული, კრაუჩი (მორიენტესი 71), სისე (კრომკამპი 78), ფაულერი (ლუის გარსია 65)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მსაჯი: რენიე
27 576 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:0 ჩარლტონი**
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, კოლინზი, ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, ბენაიუნი, მულინსი, რეო-კოკერი (ზამორა 75), ეტერინგტონი, ეშტონი (შერინგემი 45), ჰარვუდი (კატანი 86)
მწვრთნელი: ალან პერდიუ
ჩარლტონი: მირე, იუნგი (სპექტორი 62), პერი, ჰრეიდარსონი, ჰოუელი, ლომბარდი (ტომასი 70), კიშიშევი, ჰოლანდი, ბ იუზი, მ. ბენტი (ბოტროიდი 86), დ. ბენტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: იუნგი
მსაჯი: სტაილზი
34 753 მაყურებელი

**სიტი 0:1 მიდლსბრო**
0:1 კატერმოლი (42)
სიტი: ჯეიმსი, ნილსი, დანი, რიჩარდსი, ტეტჩერი, აილენდი (მუსამბა 60), რიჩა, სიბიერსკი (ფლუდი 72), სამარასი, სინკლერი (კროფტი 66), ვასელი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
მიდლსბრო: შვარცერი, ეჰიოგუ, პარნაბი, კედრუ (ტეილორი 9), რიგოტი, ბოატენგი, კატერმოლი, დაუნინგი, მორისონი (დევისი 89), როჩემბაკი, აიეგბენი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: კედრუ
მსაჯი: რილი
40 256 მაყურებელი

# დაგავიწყდა ეს კაცი, ჟოზე?







ორი თამაშია, ნისტელროი შეცვლაზე შედის და იტანს

**FUCK OFF MOURINHO, FUCK OFF MOURINHO, FUCK OFF...**

უკვე თვეზე მეტია, ამ საოპერო ჰანგზე კოხტად გაწყობილი მძლავრი სიმღერით ეგებება „ჩელსის" ყველა თამაშს მასპინძლის სტადიონი.

ასე იყო ორი კვირის წინ „კრეივენ კოტეჯზე", და ასე იყო შაბათსაც ბირმინგემის „სენტ ენდრიუზზე", სადაც იქაურმა „სიტიმ" უგოლო თამაშში ფრე გამოგლიჯა ლიდერს და ინგლისის ჩემპიონატი კიდევ უფრო დაძაბული გახადა.

თამაშის წინ ჟოზე მაურინიუ ამბობდა: „ცხრა ქულა ძალიან დიდი სხვაობაა. არა მგონია, შვიდ ტურში „მანჩესტერი" დაგვეწიოს. თანამედროვე ფეხბურთში ეს წარმოუდგენელია".

თამაშის შემდეგ მან თქვა: „ჩვენ რომ მხოლოდ საშინაო თამაშები მოვიგოთ, მაინც ჩემპიონები ვართ. არც არაფერს ვიტყვი. რამეს ვამბობ და მეორე დღეს კოშმარი იწყება".

ერთი თვის წინ კი მაურინიუ აცხადებდა: „9 აპრილს ჩემპიონები ვხდებით, ყველაფერი გამოთვლილი მაქვს".

ბირმინგემული მატჩის დასრულებიდან სრულ სამ საათში გამოირკვა, რომ სხვაობა უკვე 7 ქულაა: „მანჩესტერმა" ზედიზედ მერვე თამაში მოიგო. სტუმრად ეჭიდავა „ბოლტონს" ატალახებულ, მძიმე მინდორზე და ისე გამოგლიჯა გამარჯვება, რომ თავიდან აგებდა. ლუი საა კვლავ ძირითადში იყო და გაიტანა, გამარჯვების გოლი კი ზედიზედ მეორე თამაშში კვლავაც შეცვლაზე შესულმა რუდ ვან ნისტელროიმ შეაგდო. ასისტენტი საა იყო, ჰოლანდიელმა კი, როგორც იქნა, მოამრგვალა თავისი მანჩესტერული ტომარა 150 გოლამდე. „მანჩესტერს" უამრავი შანსი ჰქონდა და, როგორც ჩანს, ფერგიმ საბოლოოდ დაიჭირა შემადგენლობაც და ამდენი ხნის დაკარგული თამაშიც. გუნდი უცვლელი არ არის, მაგრამ 18 ფეხბურთელის მზადყოფნა შესაშურია.

გაზეთები კი ფერგიუსონის დიდ ფოტოებს ბეჭდავენ და მაურინიუს მიმართავენ: ეს კაცი დაგავიწყდა?

მოკლედ, „ჩელსის" უჭირს, ფერგი კი ლონდონელებს ცუდი მინდვრით აშინებს: „ისინი ბოლტონში უნდა ჩავიდნენ. ორ კვირაში მინდორი უარესი იქნება. გასვლა აქვთ ბლექბერნშიც. 7 ქულა მაინც ბევრია, მაგრამ ვმუშაობთ".

თავად „მანჩესტერმა" კი „არსენალსაც" უნდა უმასპინძლოს და მერე „სტემფორდ ბრიჯზე" უნდა გავიდეს. ამბავიც, ალბათ, იქ გადაწყდება.

ის ხდება, რაც ადრეც მომხდარა. საქმე ისაა, რამდენს გაუძლებენ თავად „ჩელსის" ფეხბურთელები, რომლებსაც ბირმინგემში ნამდვილად უნდა გაეტანათ, ოღონდაც ბოლოხანს თავშერცხვენილი გუნდი ისე დაუდგა, რომ მაურინიუმ სტივ ბრიუსს ალალად მიულოცა. რიკარდუ კარვალიუს თავური გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა.

რაც შეეხება ბრიუსს, ამან ოდნავ ამოისუნთქა: „ლივერპულთან" სათასო თამაშის 0:7-ზე წაგების და იმას მოყოლებულ მანჩესტერული წაგების შემდეგ ამ ღირსეულ მენეჯერს პირდაპირი მნიშვნელობით თვალი არ მოუხუჭავს. უძილობის წამალი გადარჩენა იქნება. ცხრილის ბოლოში საქმე ისეა, რომ თუ „ფულემმა" და „ასტონ ვილამ" ყველაფერი არ წააგეს, სამთაგან ორი იწირება: ან „ბირმინგემი", ან „ვესტ ბრომვიჩი", ანაც „პორტსმუთი".

„ვესტ ბრომმა" ლივერპულში წააგო. ჯიბრილ სისეს ბენეფისი ჰქონდა, მომენტები, მაგარი გოლი და საგოლე პასი. რობი ფაულერი კი თავისი ლივერპულური გოლებით კენი დალგლიშს გაუთანაბრდა. „ბირმინგემმა" მხოლოდ ქულა იშოვა, ოღონდ „ჩელსისთან". „პორტსმუთმა" კი „კრეივენ კოტეჯზე" დაალუა „ფულემი". ეს იყო ტურის ყველაზე მაგარი თამაში. „ფულემის" ფეხბურთელები მეტოქის კარს როგორღაც ვერ ხედავდნენ ან ბოლო წამს ფეხი უბრუნდებოდათ. ზღვისპირელებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ და ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზეც აცოცდნენ, თანაც ბოლოდან მეოთხე „ვესტ ბრომს" ქულებით გაუსწორდნენ. ლომანა ლუა ლუამ, რომელიც ახლა „პორტსმუთის" ნამდვილი ლიდერია, საწაულები აკეთა, მენეჯერი ჰარი რედნაპი კი მედიამ უკვე მონათლა ჰარი ჰუდინად, აქაოდა, სწორედ იმ ძველი ამერიკელი ილუზიონისტის მსგავსი კაცია: გინდა გაკოჭილი გადააგდე წყალში, მაინც გაიხსნის და ამოყვინთავსო. ჰარიმ მართლაც აათამაშა „პორტსმუთი" — ბოლო სამ ტურში 9 გოლი ხუმრობა არ არის.

ჰარიმ ასე თქვა: „მაგრად ვთამაშობთ, გოლებიც გაგვაქვს. ამოძრომა ძნელია, მაგრამ ფანების დახმარებით შევძლებთ".

ჩრდილოეთში კი შავ-თეთრი სამოსით მესამასედ თამაშობდა ალან შირერი. „ნიუკასლმა" პირველივე ტაიმში დაბდღნა „ტოტენჰემი" და ერთი გოლი (პენალტით) იუბილარმაც გაიტანა. „ტოტენჰემს" ცუდად არ უთამაშია, მეტიც, რობი კინმა მაგარი გოლით გაათანაბრა, მერე კი მიდომ და კინმავე ძელები სულ დაამტვრიეს, მაგრამ ბოლო ნახევარ საათს „ტოტენჰემი" ათი კაცით დარჩა, „ნიუკასლი" კი თამაშის ხელიდან გაშვები არ იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 32 | 25 | 4 | 3 | 60:19 | 79 |
| მანჩესტერი | 32 | 22 | 6 | 4 | 64:30 | 72 |
| ლივერპული | 33 | 20 | 7 | 6 | 47:22 | 67 |
| ტოტენჰემი | 32 | 15 | 10 | 7 | 46:32 | 55 |
| არსენალი | 31 | 16 | 5 | 10 | 53:23 | 53 |
| ბლექბერნი | 31 | 16 | 4 | 11 | 42:36 | 52 |
| ბოლტონი | 30 | 13 | 9 | 8 | 43:34 | 48 |
| ვესტ ჰემი | 32 | 13 | 7 | 12 | 46:46 | 46 |
| უიგანი | 31 | 14 | 4 | 13 | 36:38 | 46 |
| ჩარლტონი | 32 | 12 | 7 | 13 | 37:42 | 43 |
| ევერტონი | 31 | 13 | 4 | 14 | 29:41 | 43 |
| ნიუკასლი | 32 | 12 | 6 | 14 | 34:39 | 42 |
| სიტი | 32 | 12 | 4 | 16 | 39:38 | 40 |
| მიდლსბრო | 31 | 11 | 7 | 13 | 44:52 | 40 |
| ფულემი | 33 | 10 | 6 | 17 | 41:54 | 36 |
| ასტონ ვილა | 32 | 8 | 11 | 13 | 34:46 | 35 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 7 | 6 | 19 | 28:49 | 27 |
| პორტსმუთი | 31 | 7 | 6 | 18 | 27:52 | 27 |
| ბირმინგემი | 31 | 6 | 7 | 18 | 23:44 | 25 |
| სანდერლენდი | 31 | 2 | 4 | 25 | 19:55 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 21 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 20 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 16 |

### XXXIII ტური
8-9 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ჩარლტონი | : | ევერტონი |
| ჩელსი | : | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | : | ბოლტონი |
| მანჩესტერი | : | არსენალი |
| მიდლსბრო | : | ნიუკასლი |
| პორტსმუთი | : | ბლექბერნი |
| სანდერლენდი | : | ფულემი |
| ტოტენჰემი | : | სიტი |
| უიგანი | : | ბირმინგემი |

### ჩემპიონატი
#### XLI ტური

კრ. პალასი — უოტფორდი 3:1; ჰალი — ლიდსი 1:0; ქოვენტრი — პრესტონი 0:1; ლუტონი — იფსვიჩი 1:0; მილუოლი — ბრაიტონი 0:2; ნორვიჩი — ლესტერი 2:1; პლიმუთი — ვულვზი 2:0; ქუინზ პარკი — ქრიუ 1:2; რედინგი — დერბი 5:0; უესდი — ბარნსლი 0:0; საუთჰემპტონი — კარდიფი 3:2; სტოკი — შეფილდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 41 | 28 | 11 | 2 | 87:26 | 95 |
| შეფილდი | 41 | 23 | 10 | 8 | 69:42 | 79 |
| უოტფორდი | 41 | 20 | 12 | 9 | 71:49 | 72 |
| ლიდსი | 41 | 20 | 12 | 9 | 54:34 | 72 |
| კრ. პალასი | 41 | 20 | 10 | 11 | 63:42 | 70 |
| პრესტონი | 41 | 16 | 19 | 6 | 50:28 | 67 |
| ვულვზი | 41 | 14 | 17 | 10 | 44:36 | 59 |
| კარდიფი | 41 | 16 | 11 | 14 | 54:48 | 59 |
| ნორვიჩი | 41 | 16 | 8 | 17 | 51:58 | 56 |
| ლუტონი | 41 | 16 | 7 | 18 | 60:61 | 55 |
| იფსვიჩი | 41 | 13 | 14 | 14 | 47:56 | 53 |
| ქოვენტრი | 41 | 13 | 13 | 15 | 53:60 | 52 |
| სტოკი | 41 | 15 | 7 | 19 | 43:55 | 52 |
| პლიმუთი | 41 | 12 | 15 | 14 | 35:41 | 51 |
| ქუინზ პარკი | 41 | 12 | 13 | 16 | 45:56 | 49 |
| ჰალი | 41 | 12 | 12 | 17 | 45:50 | 48 |
| ბარნსლი | 41 | 13 | 9 | 19 | 44:52 | 48 |
| ლესტერი | 41 | 11 | 14 | 16 | 46:54 | 47 |
| საუთჰემპტონი | 41 | 9 | 19 | 13 | 40:47 | 46 |
| დერბი | 41 | 9 | 18 | 14 | 50:61 | 45 |
| უესდი | 41 | 10 | 12 | 19 | 33:49 | 42 |
| მილუოლი | 41 | 7 | 15 | 19 | 31:54 | 36 |
| ბრაიტონი | 41 | 6 | 17 | 18 | 36:60 | 35 |
| ქრიუ | 41 | 7 | 13 | 21 | 48:80 | 34 |

### პირველი ლიგა
#### XL ტური

ჰარტლპული — ოლდჰემი 1:1; ტრანმერი — პორტ ვეილი 3:0; დონკასტერი — როტერჰემი 3:1; ჩესტერფილდი — ნოტინგემი 1:3; ბლეკპული — უოლსოლი 2:0; ბორნმუთი — საუთენდი 1:1; ბრედფორდი — სკანთორპი 4:2; ბრისტოლი — იოვილი 2:1; კოლჩესტერი — ბრენტფორდი 1:1; ჰადერსფილდი — ბარნსლი 1:0; მილტონი — ჯილინგემი 1:2

### მეორე ლიგა
#### XL ტური

ბოსტონი — ბარნეტი 2:1; ჩესტერი — მაკლსფილდი 2:1; დარლინგტონი — ლინკოლნი 4:2; გრიმსბი — რექსჰემი 2:0; მანსფილდი — ოქსფორდი 1:0; ნოთსი — ლეიტონი 1:1; პიტერბორო — ნორთჰემპტონი 0:1; რაშდენი — ტორკი 1:0; შრუსბერი — ჩელტენჰემი 2:0; სტოკპორტი — ბერი 0:1; უიკომბი — ბრისტოლი 1:3

### კონფერენსლიგა
#### XXXVII ტური

აკრინგტონი — გრეისი 2:3; ბარტონი — იორკი 0:0; კემბრიჯი — მორეკამბი 2:2; კრიუ — ფორესტ გრინი 1:1; დაგენემი — ჰალიფაქსი 1:0; ექსეტერი — ალტრინჩემი 3:1; გრავესენდი — ალდერშოტი 0:3; კიდერმინსტერი — სტივენეჯი 0:0; სკარბორო — ტემუორთი გადაიდო; საუთპორტი — ქეიული 0:2; უოკინგი — ჰერეფორდი 1:1

# გერმანია
## ბუნდესლიგა XXVIII ტური

**ბაიერნი 2:2 კიოლნი**
0:1 ფიულნერი (12), 1:1 სანიოლი (29), 1:2 შტრაიტი (36), 2:2 მაკაი (39)
**ბაიერნი:** კანი (რენსინგი 46), ლუსიო, ისმაელი, სანიოლი, ლამი, სალიჰამიჯიჩი (შვაინშტაიგერი 75), ჰარგრივსი, ზე რობერტო (შოლი 72), ბალაკი, გერერო, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**კიოლნი:** ბადე, კულმანი, ალფაი, ლელი (რანი 89), სინკიევიჩი, მატიპი, კაბანიასი, ფიულნერი (გრამოსისი 46), შტრაიტი, შერცი (ჰელმესი 61), პოდოლსკი
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური
გაფრთხილება: ბალაკი, სინკიევიჩი, სალიჰამიჯიჩი, პოდოლსკი, ლელი
მსაჯი: დრეესი
69 000 მაყურებელი

**აინტრახტი 0:1 ვერდერი**
0:1 კლოზე (70პ)
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, რემერი, ვასოსკი, ოხსი (ლეკსა 75), სპიხერი (კოპადო 84), რუსი, ჩიმენი, ჰუგელი, მაიერი, კოლერი, ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
**ვერდერი:** ვიზე (ფანდერი 29), ფარენჰორსტი, ნალდო, პასანენი, შულცი, ვრანიეში, ბოროვსკი, იენსენი (ოვომოიელა 64), მიკუ ვალდესი (კლასნიჩი 46), კლოზე
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ვასოსკი, რუსი, ვრანიეში, კლოზე, ფარენჰორსტი, შულცი
მსაჯი: ფანდელი
50 000 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 შტუტგარტი**
1:0, 2:0 მარსელინიო (57, 69)
**ჰერტა:** ფიდლერი, ფატი, შაპედი, შრიოდერი, სიმუნიჩი, ვან ბურიკი, ჟილბერტო, ბოატენგი (კოვაჩი 82), ბაშთურქი (დარდაი 89), მარსელინიო (ნოიენდორფი 86), პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
**შტუტგარტი:** ჰაინენი, ბაბელი, ჰინკელი, დელპიერი, გერბერი, მეირა, სოლდო, ტიფერტი (გრონკიაერი 64), ცარევიჩი, ლუბოია, გომესი (კაკაუ 74)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: ჟილბერტო, სიმუნიჩი, დელპიერი, ლუბოია, მეირა
მსაჯი: მაიერი
48 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 5:0 ლაუტერნი**
1:0 ბარნეტა (9), 2:0, 3:0 ბერბატოვი (37პ, 61), 3:1 პლეჩი (64), 4:1 ფრიცი (85), 5:1 ბერბატოვი (90)
**ლევერკუზენი:** ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, ფრიცი, სტენმანი, რამელოვი, როლფსი, შნაიდერი (ვორონინი 89), ბარნეტა (ბაბიჩი 83), ფრაიერი (კასტრო 85), ბერბატოვი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
**ლაუტერნი:** ფრომლოვიცი, ჰერჩი, ბლანკი (ალფარი 46), ჰოილანდი (ენგელჰარდტი 46), პლეჩი, ლემბი, მიკიჩი, ბელინგჰაუზენი, სკელა, ალტინტოპი, სანოგო (ზანდი 67)
მწვრთნელი: ვოლგანგ ვოლფი
მსაჯი: ბრიხი
22 000 მაყურებელი

**გლადბახი 2:1 დორტმუნდი**
1:0 რაფაელი (6), 1:1 როსიცკი (16პ), 2:1 რაფაელი (34)
**გლადბახი:** კელერი, იანსენი, ფუკალი, შტრასერი, ზე ანტონიო, კამფუისი (კომპერი 64), ბროიხი (ელ ფაკირი 70), დაემსი, პოლანსკი, ნოიველი (კაე 87), რაფაელი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
**დორტმუნდი:** გენტნერი, ვიორნსი, მეცელდერი (ჰენემაიერი 46), დედე, კელი, კრინგე, საჰინი, ოდონკორი (ამოა 59), როსიცკი, ბაკლი, სმოლარეკი (გამბინო 78)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: კამფუისი, რაფაელი, კომპერი, ვიორნსი, კელი, საჰინი
მსაჯი: მერკი
54 019 მაყურებელი

**ნიურნბერგი 3:0 მაინცი**
1:0 საენკო (3), 2:0 კისლინგი (68), 3:0 ვიტეკი (80)
**ნიურნბერგი:** შაფერი, კანტალუპი, ნიკლი, გლაუბენი, პინოლა (მიულერი 88), რაინჰარდტი (პაულუსი 69), მნარი, საენკო, შროტი (კისლინგი 60), ვიტეკი
მწვრთნელი: ნორბერტ მაიერი
**მაინცი:** ვეტკლო, აბელი, ფრიდრიხი, ნოვესკი, დემირტასი (გერბერი 60), როზე, ადო, ბაბაცი, ტურკი (გაისლერი 79), კასეი, რუმანი (აუერი 74)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: პინოლა, კასეი, ბაბაცი, ადო
მსაჯი: კინჰოფერი
40 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:1 დუისბურგი**
0:1 ვან ჰუდტი (74), 1:1 მარლე (90)
**ვოლფსბურგი:** იენჩი, შნორი, კიროგა, ვან დერ ჰეიდენი, ლამპრეხტი, ტიამი (მაკიადი 57), კარჰანი (მარლე 80), ხრისტოვი, მენსეგეში, ჰანკე (ჰოგენდორფი 74), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
**დუისბურგი:** კოხი, ბილიშკოვი, ბაელუმი, ბუგერა (ანი 66), მეორლე, კალიგიური, ტარარახე, ვილი (ვან ჰუდტი 30), ვოლტერსი, აჰანფუფი, ლავრიჩი (კურტი 80)
მწვრთნელი: იურგენ კოლერი
გაფრთხილება: ხრისტოვი, ვოლტესი, ტარარახე, ლავრიჩი
გაძევება: კლიმოვიჩი (60)
მსაჯი: ვაგნერი
25 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:1 არმინია**
0:1 ვატა (5)
**ჰანოვერი:** ენკე, მერტესაკერი, ჟურავი, შრიოტერი, ვინისიუსი (შტენდელი 83), ლალა (რიკარდო სოუზა 46), ბალჩი, დაბროვსკი, შტაინერი, ჰაშემიანი (დელურა 66), ბრდარიჩი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
**არმინია:** ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, გაბრიელი, შულერი, ფინკი, კაუფი, კუჩერა, ვატა (დალოვიჩი 82), მასმანიდისი (კობილიკი 89), ვიშნიარეკი (პინტო 70)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
გაფრთხილება: დაბროვსკი, ლალა
მსაჯი: ვაკი
34 361 მაყურებელი

**შალკე 0:2 ჰამბურგი**
0:1 ვან დერ ვაარტი (57), 0:2 აილტონი (80)
**შალკე:** როსტი, რაფინია, კრსტაიჩი, ბორდონი, ქობიაშვილი, პოულსენი (ჰამიტ ალტინტოპი 69), ერნსტი, ლინკოლნი, ასამოა (სანდი 81), ვარელა, კურანი (ლარსენი 65)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
**ჰამბურგი:** კირხშტაინი, დემელი, მაჰდავიკია (ლაასი 71), დემელი, ბ. რეინჰარდტი, ატუბა, დე იონგი (აილტონი 46), იაროლიმი, ტროხოვსკი (კლინგბეილი 46), ვან დერ ვაარტი, ბარბარესი, ლაუტი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ერნსტი, პოულსენი, ქობიაშვილი, ბარბარესი, დე იონგი, იაროლიმი, ატუბა
გაძევება: რაფინია (28)
მსაჯი: ფლაშერი
61 524 მაყურებელი

# კორიდა თხასთან
## კანს ისეთი ჩაუხვიეს, ადგა და აახვია



შტრაიტის საგოლედ დარტყმული, რომელმაც კანი გაააოგნა

**რატომ** ვერ მოუგო „ბაიერნმა“ „კიოლნს“, რომელსაც მანამდე უგებდა თითქმის ყველა, ვისაც არ ეზარებოდა? ამ კითხვაზე მაგათმა რუმენიგეს უპასუხოს, ჩვენ კი შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პატარა გუნდები დიდებთან დიდი გულით თამაშობენ ხოლმე და ასე მოხდა მიუნხენშიც — კიოლნელ „თხებს“ „ბაიერნმა“ რქები ვერ მოამტვრია.

იქნება ასეც სჯობდეს, რათა ბუნდესლიგის ბოლო უფრო საინტერესო გამოვიდეს, თორემ გაიქცეოდა „ბაიერნი“ და ჩემპიონი ნაადრევად გაირკვეოდა.

„ბაიერნმა“ სულაც ქულა მოიპოვა „კიოლნთან“ მატჩში, რომელთანაც ორჯერ აგებდა. სულ ოთხმა გუნდმა შეძლო საამსეზონო ბუნდესლიგაში მიუნხენელებისთვის ორი გოლის გატანა და მათ შორის მოხვდა „კიოლნიც“.

„თხები“ მარკუს ფიულნერმა დააწინაურა კარის ხაზიდან გატანილი თავურით, მაგრამ ვილი სანიოლმა გაათანაბრა. შემდეგ კი ალბერტ შტრაიტმა გააოგნა მასპინძელთა დაცვაც და მეკარე კანიც, რომელსაც მარცხენა მაღალ კუთხეში ჩაუხვია. კანმა თავი შეუძლოდ იგრძნო და იგი რენსინგმა შეცვალა, ტაიმის ბოლოს კი როი მაკაიმ შეაგდო და „ბაიერნს“ ქულა მოუტანა.

ბრემენის „ვერდერმა“ კი მიჯრით მეორე მატჩი მოიგო და ისევ შეამცირა სხვაობა „ბაიერნთან“. ბრემენელებმა მიროსლავ კლოზეს პენალტით მოუგეს ფრანკფურტის „აინტრახტს“, ხოლო პენალტი კლოზეს წაქცევისთვის დაინიშნა. „აინტრახტს“ ბოლოს გათანაბრება, შეეძლო მაგრამ ბოროვსკიმ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ლევერკუზენში დიმიტარ ბერბატოვის დღე იყო: ბულგარელმა ფორვარდმა ჰეთ თრიქი შეასრულა, ამას თითო-თითო ბარნეტამ და ფრიცმა დაუმატეს და „კაიზერსლაუტერნი“ შინ დალონებული გაუშვეს. ლევერკუზენის „ბაიერი“ მეექვსე ადგილზე გადავიდა და უეფას თასის საგზურის მაძიებლებს შეუერთდა.

მიონხენგლადბახში „ბორუსიამ“ თანამოსახელე დორტმუნდელებს მოუგო. გლადბახელმა ნანდო რაფაელმა მეექვსე წუთზე ნაკუთხურალი ბურთი შეაგდო სტუმართა კარში და ეს მისი პირველი გოლი გამოდგა ამ სეზონში. ტომაშ როსიცკიმ მალევე კი გაქვითა, მაგრამ რაფაელი იმტაზე მოვიდა და მეორეც მიაყოლა.

„ნიურნბერგი“ სეზონის მიწურულს გამოცოცხლდა და ზედიზედ იგებს თამაშებს. ამჯერად „მაინცს“ აჯობა იოლად. საენკომ ერთი გაიტანა და ერთი საგოლე პასი კისლინგს მიართვა, ბოლოს კი ვიტეკმა შეაგდო მესამე.

„ვოლფსბურგს“ დიეგო კლიმოვიჩი 62-ე წუთზე გაუძევეს, რადგან მეტოქეს იდაყვი ჩაარტყა და ათკაცა მასპინძლებს ვან ჰუდტმა გაუტანა, თუმც ბოლოს „მგლები“ მიაწვნენ სტუმრებს და სტივ მარლემ გაათანაბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**




აილტონის გამშვებმა „შალკემ“ ბურთი მისგანაც გაუშვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 28 | 20 | 6 | 2 | 56:22 | 66 |
| ჰამბურგი | 28 | 18 | 5 | 5 | 45:22 | 59 |
| ვერდერი | 28 | 17 | 5 | 6 | 62:32 | 56 |
| შალკე | 28 | 14 | 10 | 4 | 39:25 | 52 |
| ჰერტა | 28 | 10 | 10 | 8 | 42:37 | 40 |
| ლევერკუზენი | 28 | 10 | 8 | 10 | 49:42 | 38 |
| დორტმუნდი | 28 | 9 | 10 | 9 | 36:34 | 37 |
| გლადბახი | 28 | 9 | 10 | 9 | 33:37 | 37 |
| შტუტგარტი | 28 | 7 | 15 | 6 | 28:27 | 36 |
| ჰანოვერი | 28 | 7 | 13 | 8 | 35:37 | 34 |
| ნიურნბერგი | 28 | 9 | 7 | 12 | 36:41 | 34 |
| არმინია | 28 | 9 | 7 | 12 | 28:35 | 34 |
| აინტრახტი | 28 | 8 | 6 | 14 | 37:45 | 30 |
| ვოლფსბურგი | 28 | 6 | 11 | 11 | 28:44 | 29 |
| მაინცი | 28 | 7 | 7 | 14 | 40:45 | 28 |
| ლაუტერნი | 28 | 7 | 6 | 15 | 39:61 | 27 |
| დუისბურგი | 28 | 4 | 10 | 14 | 27:52 | 22 |
| კიოლნი | 28 | 4 | 8 | 16 | 38:60 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 20 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 16 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 15 |
| მაკაი (ბაიერნი) | 14 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 13 |
| ბალაკი (ბაიერნი) | 12 |

**XXIX ტური**
8-9 აპრილი

შტუტგარტი : ნიურნბერგი
მაინცი : ჰანოვერი
არმინია : აინტრახტი
ვერდერი : ბაიერნი
კიოლნი : ვოლფსბურგი
დუისბურგი : შალკე
ჰამბურგი : გლადბახი
დორტმუნდი : ლევერკუზენი
ლაუტერნი : ჰერტა

**მეორე ბუნდესლიგა**
XXVIII ტური

კოტბუსი — ფრაიბურგი 2:1; კარლსრუე — ფიურტი 2:1; პადერბორნი — ბოხუმი 1:3; ბურგჰაუზენი — ოფენბახი 0:2; აუე — დინამო 2:0; ზაარბრიუკენი — ალენი 1:0; ზიგენი — ბრაუნშვაიგი 4:1; უნტერჰახინგი — ჰანზა 0:1; ალემანია — მიუნხენი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 28 | 16 | 8 | 4 | 46:20 | 56 |
| ალემანია | 27 | 17 | 4 | 6 | 54:29 | 55 |
| კოტბუსი | 28 | 13 | 8 | 7 | 42:29 | 47 |
| კარლსრუე | 28 | 13 | 7 | 8 | 40:34 | 46 |
| ფიურტი | 28 | 12 | 8 | 8 | 44:38 | 44 |
| ფრაიბურგი | 28 | 12 | 6 | 10 | 34:30 | 42 |
| ჰანზა | 28 | 12 | 4 | 12 | 38:38 | 40 |
| აუე | 28 | 10 | 9 | 9 | 31:31 | 39 |
| ბურგჰაუზენი | 28 | 10 | 9 | 9 | 34:41 | 39 |
| პადერბორნი | 28 | 10 | 7 | 11 | 37:29 | 37 |
| უნტერჰახინგი | 28 | 11 | 4 | 13 | 39:38 | 37 |
| ბრაუნშვაიგი | 28 | 11 | 4 | 13 | 32:36 | 37 |
| მიუნხენი | 27 | 9 | 8 | 10 | 36:35 | 35 |
| ზაარბრიუკენი | 28 | 9 | 5 | 14 | 34:53 | 32 |
| ოფენბახი | 28 | 8 | 6 | 14 | 29:49 | 30 |
| ალენი | 28 | 7 | 7 | 14 | 31:43 | 28 |
| დინამო | 28 | 7 | 6 | 15 | 27:40 | 27 |
| ზიგენი | 28 | 6 | 6 | 16 | 28:43 | 24 |

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
XXVIII ტური

ვატენშაიდი — ოსნაბრიუკი 3:3; კიოლნი (მ) — კარლ ცაისი 1:1; კიკერსი — ვუპერტალი 2:0; ერფურტი — ლევერკუზენი (მ) 3:1; ესენი — კილი 2:1; სანკტ პაული — ქემნიცი 3:2; ლიუბეკი — ობერჰაუზენი 4:0; ჰამბურგი (მ) — მიუნსტერი 0:2; ვერდერი (მ) — ჰერტა (მ) 2:1

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
XXIV ტური

ტრირი — შტუტგარტი (მ) 1:1; ჰოფენჰაიმი — დარმშტადი 2:2; პფულენდორფი — აუგსბურგი 2:2; რეგენსბურგი — მიუნხენი (მ) 1:3; შტუტგარტერ კიკერსი — ელვერსბერგი 3:0; აალენი — ბაიროითი 3:0; ვეენი — ეშბორნი 3:0; ბაიერნი (მ) — კობლენცი 0:2; კაიზერსლაუტერნი (მ) — კარლსრუე (მ) 1:0

## იტალია
## სერია A
## XXXII ტური

### ლეჩე 1:0 მილანი

1:0 კონანი (54)
ლეჩე: სიჩინიანო, დიამუტენი, კასეტი, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, დელ ვეკიო, ბაბუ (კონანი 46), ვუჩინიჩი (კოცოლინო 88), პინარდი (კამორანი 72)
მწვრთნელი: რობერტო რიცო
მილანი: დიდა, მალდინი, კალაძე, სიმიჩი (კაფუ 61), იანკულოვსკი, ფოგელი, პირლო (ზეედორფი 65), ამბროზინი, რუი კოშტა, ამოროზო (ინძაგი 55), ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: მალდინი, სტოვინი, კასეტი
მსაჯი: დონდარინი
14 521 მაყურებელი

### ტრევიზო 0:0 იუვენტუსი

ტრევიზო: ძანკოპე, ბიალი, ბაჯო, კოტაფავა, დოსენა, ვაშჩაკი (აკვაფრესკა 86), ბასეჯო, გოგუ, ე. ფილიპინი (პარავიჩინი 70), ბოგეტო (ვალდესი 65), ბორიელო
მწვრთნელი: დარიო ბორტოლუცი
იუვენტუსი: ბუფონი, კოვაჩი, ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კამორანეზი (ჯანიკედა 79), ემერსონი, ვიეირა, მუტუ, იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 64), ტრეზეგე
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ვიალი, ე. ფილიპინი, კანავარო, კოვაჩი, კიელინი, ძამბროტა, ბორიელო
მსაჯი: რაკალბუტო
6 586 მაყურებელი

### ინტერი 3:0 მესინა

1:0 სოარი (15), 2:0 მარტინსი (19), 3:0 სოლარი (26)
ინტერი: სეზარი, ბურდისო, მატერაცი (რეკობა 76), მიხაილოვიჩი, ვომე, სოლარი, პიზარო (კამბიასო 83), ჯ. ძანეტი, კილი, კრუზი (სეზარი 68), მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მესინა: სტორარი, ძანკი, ზორო, არონიკა, სკული (ანტონელი 73), ნოჩერინო (ფლოკარი 53), დაგოსტინო, დონატი, პარიზი, მუსლიმოვიჩი (სულო 53), დი ნაპოლი
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: დონატი
მსაჯი: როდომონტი
45 671 მაყურებელი

### კიევო 2:1 ლივორნო

1:0 ამაური (14), 1:1 ლუკარელი (40), 2:1 ობინია (60)
კიევო: ფონტანა, მორო, მალაგო, მანდელი, ლანა, ლუსიანო, ბრიგი, ფრანჩესკინი, სემიოლი, ამაური (ჯემიტი 88), ობინია (პელისიერი 70)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
ლივორნო: ამელია, ვარგასი, არჯილი (სეზარი 68), გალანტე, ბალერი, მორონე, პასონი, კოლუჩი, კოკო (პფერცელი 57), პალადინო (პაულინიო 75), ლუკარელი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ბალერი, ლუსიანო, ლუსიანო, ვარგასი
გაძევება: ლუსიანო (83)
მსაჯი: რიცოლი
5 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 1:1 რომა

1:0 ტონი (2), 1:1 კუფრე (72)
ფიორენტინა: ლობონტი, დანიელი, უიფალუში, კრლოდრუპი, პასკუალი, ფიორე (ბოჟინოვი 64), ბროკი, დონადელი, იორგენსენი, ხიმენესი, ტონი (მონტოლივო 69)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
რომა: დონი, მექსეში, პანუჩი, კოვუ, კუფრე, აკილანი, დაკური (ხარია 71), როსი (ოკაკა 68), პეროტა, მანსინი, ტადეი (ტომაზი 87)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მექსეში, ხიმენესი, ლობონტი, აკილანი, დონადელი, ხარია, კოვუ
მსაჯი: მესინა
40 000 მაყურებელი

### ლაციო 3:3 ემპოლი

1:0 პანდევი (7), 2:0 ბეჰრამი (8), 2:1 ტოსტო (25), 2:2 ტავანო (64), 3:2 დი კანიო (80), 3:3 ოდო (90ს.კ)
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი (დი კანიო 68), დაბო, ლივერანი, მაური (მანფრედინი 52), პანდევი (ბონანი 77), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
ემპოლი: ბალი, რაგი, პრატალი, კოდა, ტოსტო (ასკოლი 85), ბუსკე, მორო (ფიჩინი 71), ალმირონი, ლუკინი (ლოდი 56), ტავანო, ვანუკი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: პანდევი, მორო
მსაჯი: აიროლდი
24 000 მაყურებელი

### პალერმო 1:1 ასკოლი

1:0 კარაჩოლო (35), 1:1 ფოჯა (71)
პალერმო: აგილარდი, ძაკარდო, ბარძალი, ტერლიცი, კონტე, ბარონე, კორინი (კოდრეა 46), მუტარელი, ბრიენცა, დი მიკელე (ბიავა 70), კარაჩოლო (გოდეაში 79)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
ასკოლი: კოპოლა, დომიცი, კომოტო, პაკი, დელ გროსო, ფოჯა (კრისტიანო 77), გუანა, პაროლა (კარიელო 68), ფინი, კალიარელა, ბუდანი (ფერანტე 46)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: ბუდანი, გუანა, კოდრეა, კოდრეა
გაძევება: კოდრეა (66)
მსაჯი: სიკლაჩი
25 000 მაყურებელი

### რეჯინა 1:1 სიენა

0:1 ბოგდანი (21), 1:1 ამორუზო (51)
რეჯინა: პელიცოლი, ბეროსა, ლანძარო, ფრანჩესკინი, მესტო, ბიონდინი (მოდესტო 46), პარედესი, ვიჯანი (კარობიო 87), ა. ლუკარელი, კოცა (ბიანკი 81), ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცანი
სიენა: ფორტინი, ლეგროტალიე, ნეგრო, პორტანოვა, მოლინარო, ალბერტო, დავერსა (გასტალდელო 57), პარო, ვერგასოლა, კიეზა (ფოლიო 88), ბოგდანი (ვოლპატო 89)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: დავერსა, ნეგრო, გასტალდელო
მსაჯი: როსეტი
12 000 მაყურებელი

### სამპდორია 1:1 კალიარი

1:0 კასტელინი (13), 1:1 სუაცო (67)
სამპდორია: ანტონიოლი, ფალკონე, ძენონი, პიზანო, კასტელინი, პალომბო, დიანა, დალა ბონა, ტონეტო (მინგოცი 84), კუტუზოვი (მარკესეტი 88), გასბარონი (ფოტი 72)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
კალიარი: კიმენტი, ბიზერა, ფერი (ბუდელი 58), ლოპესი (ბეგა 46), ფ. პიზანო, ესპოზიტო, აბეიხონი, კონტი, გობი, სუაცო, კოსუ (აგოსტინი 76)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: პიზანო, ბიზერა, ფერი, აბეიხონი, დიანა, კუტუზოვი
მსაჯი: საკანი
20 000 მაყურებელი

### უდინეზე 2:0 პარმა

1:0 დი ნატალე (20), 2:0 ფელიპე (52)
უდინეზე: დე სანქტისი, ძენონი, ძაპატა, ნატალი, ფელიპე, ობოდო, კანდელა, მუნტარი (ტისონე 79), ბარეტო (ბერტოტო 67), იაკინტა (პეპე 84), დი ნატალე
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
პარმა: ბუჩი, ფერონეტი, პ. კანავარო, კონტინი, ბონერა, გრელა (დელვეკიო 83), სიმპლისიო, პიზანო (დესენა 46), მარკონი, ბრეშიანო, რუპოლო (მორფეო 46)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: მუნტარი, მარკიონი, ფელიპე, ბესენა, იაკინტა, დი ნატალე
მსაჯი: ფარინა
15 000 მაყურებელი

# ინტერი ინტერის წინააღმდეგ
## ახალი სიუჟეტი: შავი ზორო და ცხელი თავები



კახა კალაძეს და „მილანს“ საბრძოლველად მეორე ადგილი დაურჩათ

„პირველი ადგილისთვის ბრძოლა რომ დამთავრებულია, ამას დღეს კი არა, ერთი ხნის წინ მივხვდით — თქვა ლეჩეში 0:1 წაგების შემდეგ „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — ახლა, უბრალოდ, ვიმედოვნებ, რომ „ლეჩესთან“ ფეხის დაცდენა მეორე ადგილის მოპოვებაში არ შეგვიშლის ხელს. საბედნიეროდ, „ინტერს“ ორი ქულით მაინც ვუსწრებთ“.

შემდეგ კი ანჩელოტიმ უშუალოდ შაბათის თამაშზე თქვა ორიოდ სიტყვა. კერძოდ, პირველ ტაიმში „მილანმა“ მასპინძლებს ვაჯობეთ, რითაც კმაყოფილი დავრჩი, მეორეში კი „ლეჩემ“ სივრცეები შეგვიზღუდა, ინიციატივა ხელთ იგდო და აღარც დათმოო.

კახა კალაძემ ამ შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა და ორ თვალსაჩინო ეპიზოდში მიიღო მონაწილეობა. პირველ შემთხვევაში ახლოდან შეეძლო გატანა, მაგრამ ხელსაყრელი ვითარებით ვერ ისარგებლა, მეორეში კი მეკარე დიდას შეცდომა გამოასწორა და კარი იხსნა.

მოკლედ, „მილანმა“ წააგო და „იუვენტუსს“, რომელმაც აუტსაიდერ „ტრევიზოსთან“ 0:0-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა, უპირატესობა რვიდან ცხრა ქულამდე გააზრდევინა.

„პირველ ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი გვქონდა, სამის გატანა მეორეშიც შეგვეძლო და საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშმა არ დამაკმაყოფილა, თამაშით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ“ — იხტიბარი არ გაიტეხა „იუვეს“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ, შემდეგ კი განმარტა, რატომ არ დაასვენა წამყვანი ფეხბურთელები „არსენალთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალური თამაშის წინ:

„როგორ უნდა მეთამაშებინა სხვა შემადგენლობა, როდესაც მხოლოდ ერთი სათადარიგო ნახევარმცველი მყავდა, ჯულიანო ჯანიკედა“.

აღსანიშნავია, რომ კაპელომ რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტის ქარისთვის გატანების შემდეგ ზლატან იბრაჰიმოვიჩი შეცვალა, რაც 64-ე წუთზე მოხდა და რასაც სათადარიგოთა სკამზე უსიამოვნო ლაპარაკი მოჰყვა.

„ინტერმა“ კი „მესინას“ 26 წუთში მოუმთავრა საქმე — სამი გოლი გაუტანა და თამაშის დანარჩენი ნაწილი ფორმალობად აქცია.

თუმცა არა, ამ შეხვედრაში იყო ისეთი რამ, რაც თვით ფეხბურთზე უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა. დავიწყოთ ძველი ამბით. გეხსომებათ, ამ მეტოქეების პირველი წრის შეხვედრაში „მესინას“ ზანგი მოთამაშე, სპილოსძვლისნაპირელი მარკო ზორო მოედნიდან გარბოდა, რადგან „ინტერის“ ქომაგებმა მას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს ამბავი დღემდე სკანდალად შემორჩა იტალიის მიმდინარე ჩემპიონატს, შაბათს „სან სიროზე“ კი, აი, რა მოხდა: როგორც კი ზორომ მოედანზე ფეხი შედგა, შავ-ლურჯების ცხელთავა ქომაგებმა მყისვე ატეხეს აურზაური. თურმე ნუ იტყვით და, პლაკატებიც კი ჰქონიათ მზად. მთელი მატჩის განმავლობაში, როგორც კი ზორო ბურთს მიიღებდა, ეს ადამიანები საშინელ ღრიანცელს ტეხდნენ, მაგრამ... სრულიად საპირისპირო პოზიცია დაიჭირეს იმავე „ინტერის“ დანარჩენმა ქომაგებმა, რომლებიც ცხელთავების ჩასახშობად ზოროს ბურთთან ყოველ შეხებაზე ოვაციას ტეხდნენ. და ასე, „ინტერის“ გულშემატკივართა ორ ბანაკს შორის უშელავათო ბრძოლაში გაიარა კიდეც მთელმა მატჩმა.

ხოლო შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ მეოთხე ადგილის მაძიებლები „ფიორენტინა“ და „რომა“ წარსდგნენ, 1:1 დამთავრდა. ანგარიში ფლორენციელმა ბომბარდირმა ლუკა ტონიმ მე-2 წუთზევე გახსნა, მაგრამ რომაელმა ლეანდრო კუფრემ 72-ზე გაათანაბრა. აღსანიშნავია, რომ ტონისთვის ეს გახლდათ 26-ე გოლი მიმდინარე სეზონში ეს კი, არც მეტი არც ნაკლები, „ფიორენტინას“ რეკორდის გამეორება გამოდგა. ტონი გაბრიელ ბატისტუტასა და კურტ ჰამრინს დაეწია, ოღონდ ერთი ნიუანსით, არ არის გამორიცხული რომ ეს გოლი თამაშგარედან გავიდა.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: „რომას“ თავკაცი ლუჩანო სპალეტი ბავშვობაში სწორედ „ფიორენტინაში“ სწავლობდა ბურთის გორებას და „სტადიო არტემიო ფრანკიზე“ „აუტჩიკობდა“, ხოლო ფლორენციელთა მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი წინა სეზონის დასაწყისში „რომას“ ხელმძღვანელობდა.

„ემპოლიმ“ კი „სტადიო ოლიმპიკოზე“ 0:2 გამოასწორა და „ლაციოსთან“ 3:3 მოახერხა.

**ბაპუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 32 | 24 | 7 | 1 | 61:20 | 79 |
| მილანი | 32 | 22 | 4 | 6 | 70:26 | 70 |
| ინტერი | 32 | 21 | 5 | 6 | 59:24 | 68 |
| ფიორენტინა | 32 | 18 | 7 | 7 | 53:35 | 61 |
| რომა | 32 | 17 | 9 | 6 | 58:32 | 60 |
| კიევო | 32 | 12 | 12 | 8 | 46:38 | 48 |
| ლაციო | 32 | 11 | 13 | 8 | 43:42 | 46 |
| პალერმო | 32 | 11 | 11 | 10 | 42:43 | 44 |
| ლივორნო | 32 | 11 | 11 | 10 | 33:36 | 44 |
| სამპდორია | 32 | 10 | 8 | 14 | 43:43 | 38 |
| ასკოლი | 32 | 8 | 14 | 10 | 35:40 | 38 |
| პარმა | 32 | 10 | 8 | 14 | 36:51 | 38 |
| სიენა | 32 | 9 | 9 | 14 | 37:50 | 36 |
| რეჯინა | 32 | 9 | 8 | 15 | 32:49 | 35 |
| ემპოლი | 32 | 9 | 6 | 17 | 37:55 | 33 |
| კალიარი | 32 | 7 | 11 | 14 | 33:46 | 32 |
| უდინეზე | 32 | 8 | 8 | 16 | 31:49 | 32 |
| მესინა | 32 | 5 | 13 | 14 | 29:46 | 28 |
| ლეჩე | 32 | 6 | 6 | 20 | 24:49 | 24 |
| ტრევიზო | 32 | 2 | 10 | 20 | 17:45 | 16 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 26 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 20 |
| შევჩენკო (მილანი) | 19 |
| ტავანო (ემპოლი) | 17 |
| ჯილარდინო (მილანი) | 16 |
| ქ. ლუკარელი (ლივორნო) | 16 |
| სუაცო (კალიარი) | 16 |

### XXXIII ტური

8-9 აპრილი

| | |
|---|---|
| მილანი | კიევო |
| იუვენტუსი | ფიორენტინა |
| ასკოლი | ინტერი |
| სიენა | ლაციო |
| რომა | ლეჩე |
| კალიარი | პალერმო |
| პარმა | რეჯინა |
| ემპოლი | სამპდორია |
| მესინა | ტრევიზო |
| ლივორნო | უდინეზე |

### სერია B
### XXXV ტური

ტორინო — კატანია 2:1; ალბინოლეფე — არეცო 1:0; აველინო — პიაჩენცა 1:1; ბოლონია — ჩეზენა 0:0; ბრეშა — მანტოვა 0:0; კროტონე — ვერონა 2:1; რიმინი — ატალანტა 0:0; ტერნანა — კატანძარო 0:2; ვიჩენცა — მოდენა 0:3; კრემონეზე — ბარი 1:1. ტრიესტინა — პესკარა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 35 | 20 | 7 | 8 | 51:35 | 67 |
| კატანია | 35 | 18 | 10 | 7 | 54:36 | 64 |
| მანტოვა | 35 | 16 | 12 | 7 | 42:30 | 60 |
| ჩეზენა | 35 | 16 | 11 | 8 | 52:39 | 59 |
| ტორინო | 35 | 15 | 13 | 7 | 41:29 | 58 |
| ბრეშა | 35 | 14 | 14 | 7 | 46:27 | 56 |
| არეცო | 35 | 14 | 12 | 9 | 38:28 | 54 |
| კროტონე | 35 | 15 | 8 | 12 | 42:37 | 53 |
| მოდენა | 35 | 12 | 14 | 9 | 47:35 | 50 |
| პიაჩენცა | 35 | 11 | 15 | 9 | 46:40 | 48 |
| ბოლონია | 35 | 11 | 14 | 10 | 38:38 | 47 |
| პესკარა | 34 | 12 | 9 | 13 | 33:37 | 45 |
| ვერონა | 35 | 9 | 16 | 10 | 37:34 | 43 |
| ბარი | 35 | 10 | 13 | 12 | 35:38 | 43 |
| ტრიესტინა | 34 | 10 | 12 | 12 | 33:38 | 42 |
| რიმინი | 35 | 9 | 13 | 13 | 37:42 | 40 |
| ვიჩენცა | 35 | 10 | 7 | 18 | 30:45 | 37 |
| ალბინოლეფე | 35 | 7 | 14 | 14 | 28:41 | 35 |
| ტერნანა | 35 | 7 | 13 | 15 | 28:47 | 34 |
| აველინო | 35 | 7 | 12 | 16 | 35:58 | 33 |
| კრემონეზე | 35 | 6 | 10 | 19 | 29:43 | 28 |
| კატანძარო | 35 | 7 | 7 | 21 | 22:47 | 28 |

### სერია C1/A
### XXIX ტური

პრო სესტო — ნოვარა 0:2; ფერმანა — სალერნიტანა 0:1; ჯულიანოვა — ტერამო 0:0; პადოვა — ლუმეცანე 0:1; პიციგეტონე — სამბენედეტეზე 1:1; პრო პატრია — ჩიტადელა 1:0; რავენა — პავია 0:1; სან მარინო — მონცა 0:1; სპეცია — ჯენოა გადაიდო

### სერია C1/B
### XXIX ტური

აკირეალე — ფოჯა 0:0; ჯელა — მარტინა 0:1; გროსეტო — პერუჯა 1:0; ლანჩანო — პიზა 1:0; ლუკეზე — იუვესტაბია 2:1; მანფრედონია — სანჯოვანეზე 2:0; ნაპოლი — კიეტი 2:0; პისტოიეზე — მასეზე 3:0; ტორესი — ფროსინონე დღეს გაიმართება

# რვა ივნისს, შუაღამისას




**ტიერი ანრიმ** განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მოიფიქრებს, რა გზას დაადგეს, „არსენალში“ დარჩეს თუ სადმე გადავიდეს. მსოფლიოს ჩემპიონატი, მოგეხსენებათ, 9 ივნისს იწყება.

შეგახსენებთ, რომ ანრის ლონდონელებთან კონტრაქტი გაის ზაფხულს უმთავრდება და მისი სხვაგან გადასვლა ამიტომაც არის აქტუალურ თემად ქცეული. ყველაზე ხშირად ფრანგ თავდამსხმელს ესპანურ გუნდებთან, „ბარსელონასა“ და „რეალთან“ აკავშირებენ.

„სად გადავალ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე გადავწყვეტ, ამჟამად კი ჩემი ამოცანა „არსენალთან“ ერთად პრემიერლიგის ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა — განაცხადა ანრიმ სატელევიზიო გამოსვლისას — ხალხს ჰგონია, რომ მე არჩევანს ფულის მიხედვით გავაკეთებ, მაგრამ ასე არ არის. მე არ გახლავართ ის ადამიანი, რომელიც თამაშის წინ ფულზე ფიქრობს. როდესაც ამბიციებზე ვლაპარაკობ, მხოლოდ ფეხბურთს ვგულისხმობ და მეტს არაფერს“.

არსენალელთა თავკაცმა და ანრის მენტორმა, არსენ ვენგერმა კი თავიდან გესლიანად თქვა: „მსოფლიოს ჩემპიონატი 9 ივნისს იწყება, ანუ ანრი რას აპირებს, ჩვენ, ეტყობა, რვაში შუაღამისას გავიგებთ... მას ბევრჯერ უთქვამს, რომ ამბიციურ კლუბში უნდა გადასვლა, მე კი ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩვენც ვართ. მე, ჩემი მხრივ, არანაირ ვადას არ დავთქვამ, მაგრამ მწამს, რომ გადაწყვეტილების მსოფლიოს ჩემპიონატამდე გაწელვა ანრის დატანჯავს და არა „არსენალს“.

და კიდევ ერთი ამბავი მეთოფეთა ბანაკიდან: ანრის თანამემამულე რობერ პირესი ზაფხულში ესპანურ „ვილიარეალში“ გადავა. პირესს „არსენალმა“ ახალი ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა და ორი წლით პრიმერადივიზიონის კლუბს გაურიგდა. 32 წლის ვარსკვლავის ყოველკვირეული გასამრჯელო 50 ათასი გირვანქის ტოლფასი იქნება.

„პირესი მალე 33 წლისა გახდება, რაც ჩვენი კლუბისთვის იმას ნიშნავს, რომ თუ მასთან თანამშრომლობას ვაპირებთ, მხოლოდ მოკლევადიანი კონტრაქტი უნდა გავაფორმოთ. სამწუხაროა, მაგრამ ფეხბურთელებს კარიერა ახალგაზრდობაშივე უმთავრდებათ“ — განმარტა ვენგერმა.

**პაპუნა ძიდია**

# ფიფას რჩეული ოცდასამეული

**ფიფამ** იმ 23 მსაჯის ვინაობა დაასახელა, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის 64 თამაშს ანდობს. მსაჯთა ეს რაოდენობა ბევრს ეუცნაურა, რადგან ოთხი წლის წინანდელ მუნდიალს 36 არბიტრი ემსახურებოდა. ამჯერად 44 კანდიდატიდან სულ მცირე 30-ის არჩევას მაინც ელოდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ფიფამ სხვანაირად განსაჯა და ზემოხსენებულ 23-ს მხოლოდ შვიდი სათადარიგო დაამატა.

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი: „23 მსაჯი 23 ქვეყნიდან შევარჩიეთ. ისინი მსოფლიოს საუკეთესო არბიტრები გახლავან.“

გთავაზობთ ფიფას ნდობით აღჭურვილ არბიტრთა ჩამონათვალს.

*ძირითადნი: ესამ აბდელ ფატაჰი (ეგვიპტე), კარლოს ამარილია (პარაგვაი), ბენიტო არჩუნიდა (მექსიკა), კარლოს ბარტესი (გვატემალა), მასიმო ბუსაკა (შვეიცარია), კოფი კოდია (ბენინი), ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია), მასიმო დე სანტისი (იტალია), ორასიო ელიზონდო (არგენტინა), ვალენტინ ივანოვი (რუსეთი), ტორუ კამიკავა (იაპონია), ხორხე ლარიონდა (ურუგვაი), შამსულ მაიდინი (სინგაპური), მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი), მარკუს მერკი (გერმანია), ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი), გრემ პოლი (ინგლისი), ერიკ პულა (საფრანგეთი), პიტერ პრენდერგასტი (იამაიკა), ოსკარ რუისი (კოლუმბია), მარკ შილდი (ავსტრალია), კარლუშ სიმონი (ბრაზილია), კოროს ვასარასი (საბერძნეთი)*

*სათადარიგონი: ხალილ ალ გამდი (საუდეთი), კარლოს ჩანდია (ჩილე), ჯერომ დეიმონი (სამხრეთ აფრიკა), მუჰამედ გუეზასი (მაროკო), ლუის მედინა კანტელეხო (ესპანეთი), მარკო როდრიგესი (მექსიკა), რობერტო როსეტი (იტალია)*


მარკუს მერკი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXXI ტური

**უტრეხტი 3:1 ვალვაიკი**
1:0 ბრაფილდი (25), 2:0 რამზი (51), 2:1 ვან დერ ჰაარი (52), 3:1 ფორტუნი (78)

**ჰერაკლესი 1:0 სპარტა**
1:0 კანაში (43)

**როზენდალი 1:2 პსვ**
1:0 სილა (31), 1:1 აფელაი (50), 1:2 ალექსი (67)

**დენ ჰააგი 1:1 ტილბურგი**
0:1 დემბელე (74), 1:1 სტროევი (90)

**ნაიმეგენი 4:1 ჰერენვენი**
0:1 ნილსონი (17), 1:1 ნიდზიელანი (45), 2:1 პოტუიზენი (66პ), 3:1 დენებუუმი (71), 4:1 გროტი (86)

**გრონინგენი 2:1 ვიტესი**
1:0, 2:0 ნევილანდი (38, 50), 2:1 კნოპერი (90)

**როდა 2:1 აიაქსი**
0:1 ჰუნტელაარი (18), 1:1 ლინდენბერგი (27ს.კ.), 2:1 სონკო (90)

**ფეიენოორდი 4:2 ტვენტე**
1:0 კალუ (6), 2:0 კუიტი (23), 2:1 გერიტსენი (25), 2:2 ნკუფო (39), 3:2 კუიტი (61), 4:2 კალუ (65)

**ალკმაარი — ბრედა**
გადადო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 31 | 25 | 4 | 2 | 63:19 | 79 |
| ალკმაარი | 30 | 21 | 4 | 5 | 71:27 | 67 |
| ფეიენოორდი | 31 | 20 | 6 | 5 | 75:32 | 66 |
| უტრეხტი | 31 | 16 | 7 | 8 | 46:37 | 55 |
| აიაქსი | 31 | 15 | 6 | 10 | 59:38 | 51 |
| გრონინგენი | 31 | 15 | 6 | 10 | 42:40 | 51 |
| ჰერენვენი | 31 | 14 | 7 | 10 | 57:49 | 49 |
| ნაიმეგენი | 31 | 13 | 7 | 11 | 41:37 | 46 |
| როდა | 31 | 13 | 4 | 14 | 50:51 | 43 |
| ტვენტე | 31 | 12 | 6 | 13 | 41:35 | 42 |
| ვიტესი | 31 | 12 | 4 | 15 | 49:51 | 40 |
| ვალვაიკი | 31 | 11 | 6 | 14 | 44:49 | 39 |
| ჰერაკლესი | 31 | 9 | 6 | 16 | 28:54 | 33 |
| დენ ჰააგი | 31 | 9 | 5 | 17 | 34:57 | 32 |
| ბრედა | 30 | 7 | 9 | 14 | 37:52 | 30 |
| სპარტა | 31 | 7 | 7 | 17 | 24:48 | 28 |
| ტილბურგი | 31 | 5 | 6 | 20 | 35:60 | 21 |
| როზენდალი | 31 | 1 | 6 | 24 | 21:81 | 9 |

მეორე დივიზიონი

XXXVII ტური

აპელდორნი — ჰაარლემი 0:1; გრააფსხაპი — ოსი 2:0; ექსელსიორი — ვენლო 3:1; დენ ბოსხი — სიტარდი 4:1; დორდრეხტი — ჰელმონდი 0:2; ეინდჰოვენი — კამბური 3:3; ვოლენდამი — ალმერე 2:0; იგლსი — ტელსტარი 2:1; მაასტრიხტი — ზვოლე 2:0; ვეენდამი — ემენი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 37 | 22 | 8 | 7 | 67:24 | 74 |
| ვენლო | 37 | 19 | 8 | 10 | 49:32 | 65 |
| ჰელმონდი | 37 | 19 | 7 | 11 | 62:53 | 64 |
| ვოლენდამი | 37 | 18 | 9 | 10 | 57:42 | 63 |
| დენ ბოსხი | 37 | 16 | 11 | 10 | 62:50 | 59 |
| გრააფსხაპი | 37 | 16 | 11 | 10 | 60:49 | 59 |
| ჰაარლემი | 37 | 17 | 7 | 13 | 57:51 | 58 |
| ემენი | 37 | 17 | 6 | 14 | 65:55 | 57 |
| აპელდორნი | 37 | 17 | 5 | 15 | 63:59 | 56 |
| ოსი | 37 | 15 | 10 | 12 | 50:51 | 55 |
| ზვოლე | 37 | 15 | 9 | 13 | 55:49 | 54 |
| დორდრეხტი | 37 | 14 | 11 | 12 | 57:43 | 53 |
| მაასტრიხტი | 37 | 13 | 11 | 13 | 51:51 | 50 |
| ვეენდამი | 37 | 13 | 9 | 15 | 52:60 | 48 |
| კამბური | 37 | 11 | 14 | 12 | 47:50 | 47 |
| ეინდჰოვენი | 37 | 11 | 6 | 20 | 52:62 | 39 |
| ტელსტარი | 37 | 8 | 13 | 16 | 34:52 | 37 |
| იგლსი | 37 | 8 | 11 | 18 | 45:67 | 35 |
| ალმერე | 37 | 7 | 8 | 22 | 48:83 | 29 |
| სიტარდი | 37 | 2 | 10 | 25 | 34:84 | 16 |

## საბერძნეთი

ნაციონალ ლიგა

XXVI ტური

ეგალეო — ლარისა 1:0; აეკ — ლევადიაკოსი 2:0; აკრატიტოსი — პაოკ 0:3; ატრომიტოსი — იონიკოსი 3:2; კალითეა — ოფი 0:1; პანიონიოსი — კალამარია 2:1; ქსანთი — პანათინაიკოსი 1:1; ირაკლისი — ოლიმპიაკოსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 25 | 22 | 0 | 3 | 55:15 | 66 |
| აეკ | 26 | 19 | 3 | 4 | 38:18 | 60 |
| პანათინაიკოსი | 26 | 18 | 4 | 4 | 44:19 | 58 |
| ირაკლისი | 25 | 12 | 5 | 8 | 32:25 | 41 |
| პაოკ | 26 | 11 | 7 | 8 | 37:25 | 40 |
| ქსანთი | 26 | 11 | 7 | 8 | 27:23 | 40 |
| ატრომიტოსი | 26 | 10 | 6 | 10 | 28:29 | 36 |
| ლარისა | 26 | 9 | 8 | 9 | 28:29 | 35 |
| ეგალეო | 26 | 8 | 8 | 10 | 21:28 | 32 |
| კალამარია | 26 | 8 | 7 | 11 | 27:33 | 31 |
| იონიკოსი | 26 | 6 | 10 | 10 | 32:37 | 28 |
| ლევადიაკოსი | 26 | 6 | 7 | 13 | 17:29 | 25 |
| ოფი | 26 | 5 | 9 | 12 | 17:32 | 24 |
| პანიონიოსი | 26 | 6 | 5 | 15 | 24:43 | 23 |
| აკრატიტოსი | 26 | 4 | 5 | 17 | 16:38 | 17 |
| კალითეა | 26 | 3 | 7 | 16 | 22:42 | 16 |

## პოლონეთი

პირველი ლიგა. XXII ტური

ვისლა — პოლონია 2:0; ლეგია — პოგონი 2:0; ამიცა — პლოცკი 2:0; არკა — გროცლინი 0:0; ბელხატოვი — კრაკოვია 2:0; გურნიკი — ლეხი 0:3; ლეჩნა — ოდრა 0:0; კორონა — ზაგლებე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 22 | 14 | 5 | 3 | 35:12 | 47 |
| ვისლა | 22 | 13 | 7 | 2 | 35:15 | 46 |
| ამიცა | 22 | 11 | 6 | 5 | 39:19 | 39 |
| ზაგლებე | 20 | 9 | 5 | 6 | 34:24 | 32 |
| ლეხი | 20 | 8 | 6 | 6 | 31:28 | 30 |
| კორონა | 20 | 7 | 8 | 5 | 31:25 | 29 |
| კრაკოვია | 22 | 7 | 5 | 10 | 23:35 | 26 |
| პოგონი | 20 | 6 | 7 | 7 | 22:24 | 25 |
| ოდრა | 21 | 6 | 7 | 8 | 17:22 | 25 |
| პლოცკი | 20 | 7 | 4 | 9 | 22:30 | 25 |
| გროცლინი | 21 | 6 | 5 | 10 | 25:33 | 23 |
| ლეჩნა | 20 | 4 | 10 | 6 | 15:17 | 22 |
| არკა | 21 | 4 | 10 | 7 | 16:22 | 22 |
| გურნიკი | 20 | 6 | 4 | 10 | 22:31 | 22 |
| ბელხატოვი | 22 | 5 | 7 | 10 | 20:29 | 22 |
| პოლონია | 21 | 4 | 4 | 13 | 15:36 | 16 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXII ტური

**დანდი იუნ. 1:4 რეინჯერსი**
0:1 პრსო (29), 0:2, 0:3 ბოიდი (30, 53), 1:3 სამუელი (67), 1:4 ბოიდი (82)

**დანფერმლაინი 1:1 ფოლკირკი**
0:1 როსი (20), 1:1 ბურჩილი (49)

**ინვერნესი 0:1 აბერდინი**
0:1 ლოველი (82)

**მოზერველი 2:1 ლივინგსტონი**
1:0 ჰამილტონი (39), 1:1 ველანი (75), 2:1 მაკკლინი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 31 | 25 | 4 | 2 | 83:30 | 79 |
| ჰართსი | 31 | 18 | 8 | 5 | 60:26 | 62 |
| რეინჯერსი | 32 | 17 | 8 | 7 | 58:34 | 59 |
| კილმარნოკი | 31 | 14 | 9 | 8 | 57:50 | 51 |
| ჰიბერნიანი | 31 | 15 | 4 | 12 | 54:43 | 49 |
| აბერდინი | 32 | 11 | 12 | 9 | 38:36 | 45 |
| მოზერუელი | 32 | 12 | 8 | 12 | 50:54 | 44 |
| ინვერნესი | 32 | 10 | 13 | 9 | 44:36 | 43 |
| დანდი იუნ. | 32 | 7 | 11 | 14 | 39:57 | 32 |
| დანფერმლაინი | 32 | 5 | 8 | 19 | 26:59 | 23 |
| ფოლკირკი | 32 | 5 | 7 | 20 | 30:61 | 22 |
| ლივინგსტონი | 32 | 2 | 6 | 24 | 18:71 | 12 |

## თურქეთი

სუპერლიგა. XXVIII ტური

ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში 2:3; გალათასარაი — გენჩლერი 3:0; მანისა — დიარბაქირი 0:3; ერჯიესი — სამსუნი 2:2; კონია — კაისერი 1:0; მალათია — ანკარა 0:2; სივასფორი — რიზე 1:2; ტრაბზონი — დენიზლი 3:0; გაზიანთეფი — ფენერბაჩე 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 28 | 21 | 5 | 2 | 72:24 | 68 |
| გალათასარაი | 28 | 21 | 5 | 2 | 66:26 | 68 |
| ბეშიქთაში | 28 | 13 | 7 | 8 | 44:31 | 46 |
| კაისერი | 28 | 13 | 6 | 9 | 45:32 | 45 |
| გენჩლერი | 28 | 12 | 8 | 8 | 40:29 | 44 |
| ტრაბზონი | 28 | 12 | 7 | 9 | 37:35 | 43 |
| კონია | 28 | 11 | 8 | 9 | 36:34 | 41 |
| მანისა | 28 | 10 | 6 | 12 | 43:43 | 36 |
| სივასფორი | 28 | 8 | 12 | 8 | 27:31 | 36 |
| ერჯიესი | 28 | 8 | 12 | 8 | 30:37 | 36 |
| რიზე | 28 | 7 | 11 | 10 | 22:30 | 32 |
| ანკარაგიუჯიუ | 28 | 7 | 9 | 12 | 34:40 | 30 |
| გაზიანთეფი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:43 | 30 |
| ანკარა | 28 | 6 | 11 | 11 | 35:42 | 29 |
| დენიზლი | 28 | 7 | 7 | 14 | 32:42 | 28 |
| დიარბაქირი | 28 | 7 | 5 | 16 | 28:58 | 26 |
| სამსუნი | 28 | 5 | 8 | 15 | 37:56 | 23 |
| მალათია | 28 | 5 | 8 | 15 | 24:46 | 23 |

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა

XXX ტური

ზალცბურგი — გრაცერი 5:0; აუსტრია — ადმირა 4:4; ტიროლი — რიდი 0:1; შტურმი — რაპიდი 0:0; პაშინგი — მატერსბურგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 29 | 15 | 8 | 6 | 42:28 | 53 |
| ზალცბურგი | 29 | 16 | 3 | 10 | 48:33 | 51 |
| პაშინგი | 29 | 12 | 8 | 9 | 33:26 | 44 |
| რიდი | 29 | 11 | 11 | 7 | 39:33 | 44 |
| რაპიდი | 29 | 10 | 9 | 10 | 40:35 | 39 |
| გრაცერი | 29 | 11 | 5 | 13 | 38:37 | 38 |
| ტიროლი | 29 | 9 | 10 | 10 | 34:40 | 37 |
| შტურმი | 29 | 8 | 11 | 10 | 33:37 | 35 |
| მატერსბურგი | 29 | 8 | 6 | 15 | 31:48 | 30 |
| ადმირა | 29 | 7 | 5 | 17 | 35:56 | 26 |

## შვეიცარია

სუპერლიგა. XXVII ტური

გრასჰოპერი — სენტ გალენი 2:1; ბაზელი — იანგ ბოისი 2:0; შაფჰაუზენი — ციურიხი 1:4; თუნი — აარაუ 1:1; ივერდონი — ქსამაქსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 26 | 16 | 8 | 2 | 59:30 | 56 |
| ციურიხი | 27 | 16 | 7 | 4 | 62:28 | 55 |
| იანგ ბოისი | 27 | 11 | 10 | 6 | 37:34 | 43 |
| გრასჰოპერი | 27 | 10 | 10 | 7 | 35:27 | 40 |
| თუნი | 27 | 9 | 7 | 11 | 36:40 | 34 |
| სენტ გალენი | 27 | 8 | 7 | 12 | 41:42 | 31 |
| აარაუ | 27 | 7 | 9 | 11 | 24:40 | 30 |
| ივერდონი | 27 | 8 | 4 | 15 | 31:46 | 28 |
| შაფჰაუზენი | 27 | 6 | 8 | 13 | 25:39 | 26 |
| ქსამაქსი | 26 | 5 | 6 | 15 | 31:55 | 21 |

# სიტყვების ქნევა თამაშის მერე



„ბარსელონა“ — „რეალს“ არც ბრძოლა აკლდა, არც ჟინი, მაგრამ „ის“ ელ კლასიკო ვერ იყო

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი XXXI ტური

**ბარსელონა 1:1 რეალი**

1:0 რონალდინიო (22პ), 1:1 რონალდო (37)
ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი (გაბრი 89), მოტა (ბელეტი 39), ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა, დეკუ, ვან ბომელი (ჟიული 57), ლარსონი, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
რეალი: კასილიასი, სისინიო, სერხიო რამოსი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, გუტი (რაულ გარსია 90), ბაპტისტა, ბექემი, ზიდანი (გრავესენი 79), რობინიო (მეხია 34), რონალდო
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
გაფრთხილება: გუტი, ვან ბომელი, ვან ბრონკ ჰორსტი, რონალდო, მეხია, ბაპტისტა, ბექემი, რობერტი კარლოსი, რობერტო კარლოსი
გაძევება: რობერტო კარლოსი (25)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
90 000 მაყურებელი

**სოსიედადი 3:0 მალაგა**

1:0 ანსოტეგი (36), 2:0 სკოუბუ (67), 3:0 ხავი პრიეტო (82)
სოსიედადი: რიეზგო, ლოპეს რეკარტე ანსოტეგი, ლაბაკა, გარიდო, გარიტანო, ალვარო ნოვო (სტანკოვიჩი 70), მარკ გონსალესი, ხავი პრიეტო (ურანგა 83) ნიჰათი, სკოუბუ (მიკელ ალონსო 85)
მწვრთნელი: ხოსე მარი ბაკერო
მალაგა: არნაუ, გამესი, ალექსისი, ფერნანდო სანსი (ედგარი 58), ანტონიო ლოპესი, ბოვიო, ხუან როდრიგესი, მანუ (იდალგო 65), დუდა, კუნიაგო, სალვა (მორალესი 77)
მწვრთნელი: მანოლო იერო
გაფრთხილება: ნოვო, ნიჰათი, ხუან როდრიგესი, ანტონიო ლოპესია, ხესუს გამესი, პუნიაგო, ედგარი, არნაუ
გაძევება: ხუან როდრიგესი (66), მორალესი (85)
მსაჯი: პერესი ლიმა
27 000 მაყურებელი

**სარაგოსა 0:1 ვილიარეალი**

0:1 როხერი (45)
სარაგოსა: სეზარი, პონსიო, ალვარო, გაბრიელ მილიტო, ტოლედო (არან საბალი 65), ოსკარი (სავიო 57), სელადესი, საპატერი (სერხიო გარსია 80), კანი, ევერტონი, დიეგო მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ვილიარეალი: ვიერა, ხოსემი, გონსალო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, კაზორლა, ტაკინარდი, ხოსიკო, როხერი (სორინი 70), გუაირე (ხოსე მარი 19), ფორლანი (ექტორ ფონტი 83)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ტოლედო, კანი, ტაკინარდი, არუბარენა, კიკე სანჩესი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
27 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:4 ხეტაფე**

0:1 პაუნოვიჩი (34), 0:2 დორადო (37), 0:3 პაუნოვიჩი (53), 0:4 პერნია (63)
ოსასუნა: რიკარდო, ფლანიო (ოტისი 55), კუელარი, ხოსეჩო, კორალესი, დ. ლოპესი, პუნიალი, რაულ გარსია, მოა (რომეო 67), ვებო, მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ხეტაფე: ლუის გარსია, პულიდო, კონტრა, ტენა, დიეგო რივასი, კოტელო (რედონდო 67), დორადო, ალბერტო, გავილანი (პარედესი 73), პაუნოვიჩი (რიკი 81)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ფლანიო, რაულ გარსია, პერნია, ტენა, კონტრა, კოტელო, გავილანი, კულიდო
მსაჯი: ხავიერ ტურიენსო ალვარესი
18 762 მაყურებელი

**ვალენსია 5:3 კადისი**

1:0 ვილია (2), 1:1 ენრიკე (12), 2:1 ანგულო (33), 3:1 დ. ნავარო (35), 4:1 ანგულო (57), 4:2 სესმა (64), 5:2 ვილია (65), 5:3 სესმა (78)
ვალენსია: კანისარესი, დ. ნავარო, მიგელი, მარჩენა, მორეტი, ანგულო (ხ. ლოპესი 70), ალბელდა, ბარახა (ედუ 65), აიმარი, ვილია, რეგუერო
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
კადისი: ლიმია, ვალერა (ველა 70), დე კინტანა, პასი, რ. ლოპესი, ბესარესი, ფლერკინი, მორანი (სუარესი 70), ენრიკე, ლობოსი (ოლი 77), სესმა
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: მორეტი, რ. ლოპესი, დე კინტანა, ფლერკინი, ბესარესი
მსაჯი: მუნიოს ფერნანდესი
40 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 რასინგი**

1:0 კაპდევილა (19), 2:0 ლაგო (56)
დეპორტივო: მოლინა, მ. პაბლო, ექტორი, კოლოჩინი, კაპდევილა, სერხიო, ვიქტორი, დუშერი (დე გუზმანი 70), მუნიტისი, ლაგო (მომო 80), ტრისტანი (ხისკო 55)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
რასინგი: აუატე გარაი, პინილიოსი, ალფარო, აიოზე ა. ტომასი (ანტონიტო 53), დამია (ფელიპე მელო 46), ვიტოლო (სურანო 72), კასკერო, ხ. ვალე ხუანხო
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: დამია, დუშერი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
12 000 მაყურებელი

**მალიორკა 0:0 ესპანიოლი**

მალიორკა: პრატსი, მასიელი, მუნიესი, ვალესტეროსი, ფ. ნავარო, გუტიერესი (კამპანო 72; ვიქტორი 78), ბასინასი, პერეირა, ტუნი, არანგო, პისკულიჩი (ოკუბო 68)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ესპანიოლი: ირაისოსი, ს. სანჩესი, ლოპო, დ. გარსია, ხარკე, ხუანფრანი (სა 79), კოსტა, ფრედსონი, იტო, ლუის გარსია (ხოფრე 89), პანდიანი (კორო 60)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ბასინასი, დ. გარსია
მსაჯი: უნდიანო მალენკო
16 000 მაყურებელი

**ალავესი 0:0 ბილბაო**

ალავესი: კოსტანცო, ედუ, გ. გალვესი, სარიეგი, ბეგონია, ხუანიტო, კარპინტერო, დე ლუკასია (გეორგიევი 72), ნენე (ანდრო 85), ბოდიპო, ალონზო
მწვრთნელი: მარიო ლუნა
ბილბაო: ლაფუენტე, ესპოზიტო, პრიეტო (დანობეიტია 61), გურპეგი, ურსაისი, კასასი, ორბაისი, მურილიო, ირაოლა, ადურისი (იესტე 13), ეჩებერია (ტიკო 90)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: გ. გალვესი, ბეგონია, პრიეტო, გურპეგი, დანობეიტია, იესტე
მსაჯი: ალფონსო პერეს ბურული
13 137 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:3 სელტა**

0:1 ლეკუ (70), 0:2 ბაიანო (84პ), 0:3 დე რიდერი (90)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პაბლო, ველასკო, პერეა, ა. ლოპესი, გალეტი (მარკესი 79), გაბი, ლუკინი, პეტროვი, კელმანი, ფ. ტორესი
მწვრთნელი: პეპე მურსია
სელტა: პინტო, კონტრერასი, ანხელი, ლეკუ, პლასენტე, ნუნიესი (დე რიდერი 69), ობინია, ირინეი, სილვა (მენდესი 87), კანობიო (ასპასი 57), ბაიანო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: გალეტი, ლუკინი, პერეა, პეტროვი, პაბლო, ბაიანო
მსაჯი: ვისენტე ლისონდო კორტესი
55 000 მაყურებელი

**ბეტისი 2:1 სევილია**

1:0 რობერტი (15პ), 1:1 სავიოლა (28), 2:1 ვარელა (44)
ბეტისი: კონტრერასი, მელი, ხუანიტო, რივასი, ო. ლოპესი, არზუ, ასუნსაო (მიგელ ანხელი 84), ვარელა (რივერა 61), ედუ, ხოაკინი, რობერტი (დანი 86)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
სევილია: პალოპი, ხ. ნავარო, ალვესი, ესკუდე (ლუის ფაბიანო 80), დავიდი (ადრიანო 46), ნავასი, პუერტა, რენატო, მარტი (მარესკა 61), სავიოლა, კანუტე
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დავიდი, მელი, მარტი, რობერტი, ედუ, რივერა, ო. ლოპესი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
45 000 მაყურებელი

**გასაოცარი** ამ ტურში ბევრი რამ მოხდა. მაგალითად: როგორ მოახერხა ჩემპიონთა ლიგისკენ მზერამიპყრობილმა „ოსასუნამ“ „ხეტაფესთან“ განადგურება და ისიც შინ, ან როგორ მოახერხა „ვალენსიამ“ გასავარდნი „კადისისგან“ სამი ბურთის გაშვება. თუმცა, რაც გინდა მომხდარიყო, ტურის მთავარი ამბავი, რაღა თქმა უნდა, „კამპ ნოუზე“ გაგორებული 1:1 იყო.

რომ ვთქვათ, გადასარევი ელ კლასიკო ვნახეთ-თქო, მართლები არ ვიქნებით — ნაღდ ფიესტად ქცეული კლასიკოები უხვად გვახსოვს, ამ ჯერზე კი ასე არ იყო. „ბარსელონა“ მთელი თამაში უტევდა, „რეალი“ თავს იცავდა და მადრიდელთა გოლი მათ ფაქტობრივად ერთადერთ იერიშს მოჰყვა. თუმც, რატომ იქცა კლასიკო ცალკარად, გუნდებს ამაზე განსხვავებული პოზიციები აქვთ.

„ბარსას“ ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ მასპინძლები გამეტებით უტევდნენ, მომენტებს ქმნიდნენ, „იკერ კასილიასს“ ბევრი საქმე ჰქონდა და ასე შემდეგ. მერე კი დასძენენ, ვერმოგება სულაც არ გვადარდებს, რაკი ჩემპიონობას კიდევ ერთი თამაშით მივუახლოვდით და მთავარი ეგ არისო.

„რეალის“ საიტზე კი ვკითხულობთ, ათი კაცით თორმეტს ვეთამაშეთ და ღირსეული ბრძოლა გადავიხადეთო. მეთორმეტე ბარსელონელი, მადრიდელთა მტკიცებით, ცხადია, მსაჯია.

და რა შუაშია მსაჯი? არბიტრმა მედინა კანტელეხომ „რეალის“ კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, ხოლო რობერტო კარლოსი კამათისთვის გააძევა. ისევ მხარეებს მოვუსმინოთ.

„ბარსელონა“: ეტოომ ვან ბომელს პასი მისცა, ის კი საჯარიმოში რაულ ბრავომ წააქცია. რეფერიმ უყოყმანოდ დანიშნა პენალტი.

„რეალი“: რონალდინიომ გამოგონილი პენალტი გაიტანა.

რაც შეეხება რობერტო კარლოსის გაძევებას:

„ბარსელონა“: რობერტო კარლოსმა ყვითელი ბარათი მსაჯთან კამათისთვის მიიღო, რამდენიმე წუთში ისევ კამათისთვის მეორედაც გააფრთხილეს, რითაც თავისი გუნდი ათი ფეხბურთელით დატოვა.

„რეალი“: რეფერი იმდენს კი უნდა ხვდებოდეს, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ფეხბურთელები აღელვებულები არიან და ბარათების უმიზეზოდ დარიგებით სიტუაცია უფრო მეტად არ უნდა დაძაბოს.

ელ კლასიკოს შეფასება არაერთგვაროვანი რომ იქნებოდა, მოსალოდნელიც იყო და ბუნებრივიც. მეორე მხრივ კი, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, შედეგს დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან ყველა შეგუებულია, რომ ამ სეზონში პრიმერას ჩემპიონი „ბარსელონა“ ხდება.

თავში „ოსასუნა“ და „ვალენსია“ ვახსენეთ. ერთ ფაქტზეც ვთქვათ: ამ მოგებამდე „ვალენსიას“ მიჯრით ექვს მატჩში ვერ ემარჯვა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია. უცნაურობა კი ის გახლავთ, რომ ასეთი ჩავარდნის მიუხედავად, „ვალენსია“ საპრიზო ადგილიდან ვერავინ ჩამოაბრძანა. კიდევ: დავიდ ვილიას წინა შვიდ მატჩში გოლი ვერ გაეტანა, „კადისს“ კი დუბლი შეუსრულა. ამ მატჩში შვიდთვიანი უქმობის მერე დაბრუნდა ტრავმირებული ექსარსენალელი ედუ.

ამავე ტურში გაიმართა მეტად თვალსაჩინო სევილიური დერბიც, რომელიც „ბეტისმა“ მოიგო. ეს დერბი, როგორც მუდამ, უხეში და ძალიან „ყვითელი“ იყო.

**ქოტე ქექელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 31 | 21 | 6 | 4 | 70:27 | 69 |
| რეალი | 31 | 17 | 7 | 7 | 56:28 | 58 |
| ვალენსია | 31 | 15 | 11 | 5 | 44:28 | 56 |
| ოსასუნა | 31 | 17 | 4 | 10 | 41:37 | 55 |
| სევილია | 31 | 15 | 6 | 10 | 39:32 | 51 |
| სელტა | 31 | 16 | 3 | 12 | 34:29 | 51 |
| დეპორტივო | 31 | 14 | 7 | 10 | 42:37 | 49 |
| ვილიარეალი | 31 | 12 | 12 | 7 | 41:30 | 48 |
| ატლეტიკო | 31 | 11 | 10 | 10 | 40:32 | 43 |
| ხეტაფე | 31 | 12 | 7 | 12 | 44:40 | 43 |
| სარაგოსა | 31 | 9 | 14 | 8 | 39:39 | 41 |
| ბეტისი | 31 | 9 | 9 | 13 | 29:41 | 36 |
| ესპანიოლი | 31 | 9 | 8 | 14 | 32:47 | 35 |
| ბილბაო | 31 | 8 | 10 | 13 | 32:38 | 34 |
| რასინგი | 31 | 7 | 12 | 12 | 26:35 | 33 |
| მალიორკა | 31 | 7 | 11 | 13 | 29:45 | 32 |
| ალავესი | 31 | 7 | 10 | 14 | 32:47 | 31 |
| სოსიედადი | 31 | 9 | 4 | 18 | 39:57 | 31 |
| კადისი | 31 | 6 | 9 | 16 | 24:43 | 27 |
| მალაგა | 31 | 5 | 8 | 18 | 30:51 | 23 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 22 |
| ვილია (ვალენსია) | 18 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 15 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 14 |
| რონალდო (რეალი) | 13 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 12 |

### XXXII ტური
8-9 აპრილი

| | |
|---|---|
| ვილიარეალი | დეპორტივო |
| სევილია | სარაგოსა |
| კადისი | ბეტისი |
| სელტა | ვალენსია |
| ესპანიოლი | ატლეტიკო |
| ბილბაო | მალიორკა |
| ალავესი | ოსასუნა |
| მალაგა | ხეტაფე |
| რეალი | სოსიედადი |
| რასინგი | ბარსელონა |

### სეგუნდადივიზიონი
XXXI ტური

ეიბარი — ნუმანსია 1:2; პოლი ეხიდო — რეალი B 0:3; სპორტინგი — ერკულესი 1:1; ტენერიფე — სიუდად მურსია 0:1; ლევანტე — ალმერია 2:4; ფეროლი — მალაგა B 2:1; ელჩე — უელვა 1:1; ლეიდა — ალბასეტე 3:0; ლორკა — კასტელონი 3:2; მურსია — ხიმნასტიკი 0:1; ვალიადოლიდი — ხერესი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელვა | 31 | 15 | 11 | 5 | 44:24 | 56 |
| ხიმნასტიკი | 31 | 17 | 5 | 9 | 34:27 | 56 |
| ალმერია | 31 | 16 | 6 | 9 | 40:27 | 54 |
| ლორკა | 31 | 15 | 7 | 9 | 46:32 | 52 |
| ლევანტე | 31 | 13 | 11 | 7 | 41:35 | 50 |
| სიუდად მურსია | 31 | 13 | 9 | 9 | 38:34 | 48 |
| ნუმანსია | 31 | 13 | 9 | 9 | 33:36 | 48 |
| ხერესი | 30 | 12 | 11 | 7 | 43:33 | 47 |
| ვალიადოლიდი | 31 | 11 | 11 | 9 | 43:37 | 44 |
| რეალი B | 31 | 12 | 7 | 12 | 40:32 | 43 |
| სპორტინგი | 31 | 9 | 14 | 8 | 29:24 | 41 |
| მურსია | 31 | 9 | 12 | 10 | 27:27 | 39 |
| ელჩე | 31 | 10 | 9 | 12 | 37:43 | 39 |
| ალბასეტე | 31 | 10 | 8 | 13 | 31:44 | 38 |
| ლეიდა | 31 | 10 | 7 | 14 | 32:33 | 37 |
| ერკულესი | 30 | 9 | 10 | 11 | 30:34 | 37 |
| პოლი ეხიდო | 31 | 10 | 7 | 14 | 30:38 | 37 |
| ფეროლი | 31 | 7 | 13 | 11 | 36:44 | 34 |
| ტენერიფე | 31 | 9 | 7 | 15 | 36:45 | 34 |
| კასტელონი | 31 | 8 | 8 | 15 | 30:40 | 32 |
| მალაგა B | 31 | 6 | 9 | 16 | 24:40 | 27 |
| ეიბარი | 31 | 4 | 13 | 14 | 20:35 | 25 |



ჩევანტონის პენალტმა „მონაკო“ „სენტ ეტიენთან“ მაინც ვერ ახეირა

# ლიონი თავს არ იკლავს, ისე კლავს

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი

XXXIII ტური

**ლილი 1:1 ოსერი**

1:0 ოდენვინჟი (21), 1:1 ლუინდულა (27)

**ტროა 0:1 ლიონი**

0:1 ტიაგუ (76)

**მეცი 0:1 ლანსი**

0:1 ფრო (26პ)

**ნანტი 1:3 მარსელი**

0:1 ნიანგი (22), 0:2 მალუდა (52), 1:2 ოლეში (53), 1:3 ნიანგი (72)

**ნიცა 3:1 სტრასბური**

1:0 იარა (61), 2:0 ბაგაიოკო (62), 2:1 იოჰანსენი (73პ), 3:1 რაორე (90)

**სენტ ეტიენი 1:1 მონაკო**

0:1 ჩევანტონი (56), 1:1 გომისი (82)

**სოშო 3:1 აიაჩუ**

1:0 ნდოუ (17), 2:0 დაგანო (27), 2:1 ედსონი (63), 3:1 ველდონი (90)

**ტულუზი 0:1 რენი**

0:1 აუბეი (73ს.კ.)

**პსჟ 3:1 ბორდო**

1:0 პაულეტა (7), 1:1 პერეა (22), 2:1, 3:1 პაულეტა (38პ, 43)

„ლიონმა“ ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ჟერარ ულიეს „ტრუასთან“ მთლად ძირითადი შემადგენლობით არ უთამაშია და მის შეგირდებს მეტოქისთვის თავი არ შეუკლავთ, მაგრამ მაინც მოიგეს.

შეხვედრა მასპინძელთა მიძალებით დაიწყო — „ტრუა“ ხომ გასავარდნ ზონასთან ერთ ნაბიჯშია. ლიონელთა მეკარე გრეგორი კუპე ამჯერადაც ყოჩაღობდა და რამდენიმე რთული ბურთი აიღო. სტუმრებმა თამაში მალევე გაათანაბრეს და მეტოქეზე დაწოლაც დაიწყეს, მაგრამ კუპეზე არანაკლებ ივარგა რენელთა მეკარე რონან ლე კრომმა.

ყველაფერი 77-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც ჟუნინიოს კუთხურს ტიაგუს ზუსტი თავური მოჰყვა. „ტრუას“ კი თავის დამშვიდება იმით შეუძლია, რომ ბოლოდან მეოთხე ადგილზე დარჩა, რადგან მის ქვემოთ მყოფი სამეულიც დამარცხდა. განსაკუთრებით „სოშოსა“ და „აიაჩოს“ ექვსქულიანი მატჩი უნდა გამოვარჩიოთ, რომელშიც მასპინძლებმა იმარჯვეს და გასავარდნი ზონიდან ახლა 9 ქულა აშორებთ, რაც თითქმის გადარჩენის გარანტიაა.

ჟერარ ულიე: „ვერ ვიტყვი, რომ ამ მატჩში ბრწყინვალედ ვითამაშეთ, მაგრამ სასურველ შედეგს მივაღწიეთ და ჩვენი მიზანიც ეს იყო. ახლა მთავარი ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან“ შეხვედრაა“.

მესამე ადგილზე გასული გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ხვდება და ამისთვის ჩემპიონატში დიდი ბრძოლაა გაჩაღებული.· ამ საფეხურზე ამჟამად მყოფი „ლილი“ მდევარ „ოსერს“ მასპინძლობდა. კლოდ პუელის გუნდმა მშვენივრად იბურთავა და მოგებასაც იმსახურებდა, მაგრამ სტუმრებმა ქულის აღება შეძლეს და „ლილი“ ძალიან შორს არ გაუშვეს.

„ლილი“ 21-ე წუთზე დაწინაურდა, როდესაც პიტერ ოდემვინჟიმ დამატებაზე იყოჩაღა. ცოტა ხანში მასვე სადავო ეპიზოდში არ ჩაუთვალეს მეორე გოლი, ხოლო 27-ე წუთზე სტატის ტავლარიდისმა ბურთი პეგი ლუინდულას ჩააბარა და მანაც შორიდან ზუსტად დაარტყა. უშუალო კონკურენტთა ფრით მათმა მდევრებმა ისარგებლეს და ახლა მესამე ადგილისთვის ბრძოლა ძალიან ჩაიხლართა.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 32 | 21 | 9 | 2 | 57:23 | 72 |
| ბორდო | 32 | 16 | 12 | 4 | 34:19 | 60 |
| ლილი | 33 | 14 | 12 | 7 | 45:23 | 54 |
| რენი | 33 | 17 | 2 | 14 | 42:43 | 53 |
| ლანსი | 33 | 12 | 16 | 5 | 40:28 | 52 |
| ოსერი | 33 | 15 | 7 | 11 | 40:33 | 52 |
| მარსელი | 33 | 14 | 10 | 9 | 33:30 | 52 |
| პსჟ | 33 | 13 | 11 | 9 | 40:30 | 50 |
| ლე მანი | 33 | 13 | 9 | 11 | 30:26 | 48 |
| ნიცა | 33 | 12 | 10 | 11 | 26:26 | 46 |
| ნანსი | 33 | 11 | 10 | 12 | 29:25 | 43 |
| მონაკო | 32 | 11 | 9 | 12 | 33:29 | 42 |
| სტ. ეტიენი | 33 | 10 | 12 | 11 | 26:32 | 42 |
| ნანტი | 33 | 9 | 11 | 13 | 31:34 | 38 |
| ტულუზი | 33 | 9 | 10 | 14 | 29:38 | 37 |
| სოშო | 32 | 9 | 9 | 14 | 28:39 | 36 |
| ტრუა | 33 | 6 | 11 | 16 | 25:41 | 29 |
| სტრასბური | 33 | 5 | 12 | 16 | 29:45 | 27 |
| მეცი | 33 | 5 | 11 | 17 | 22:50 | 26 |
| აიაჩო | 33 | 5 | 9 | 19 | 19:44 | 24 |

მეორე დივიზიონი

XXXII ტური

კაენი — გენიონი 1:0; კლერმონი — შატორუ 0:2; დიჟონი — ლე ავრი 1:2; გენგამი — რეიმსი 2:1; ისტრი — ამიენი 1:0; ლავალი —ვალანსიენი 0:2; ლორიანი — მონპელიე 3:0; სეტი — კრეტეი 1:1; სედანი — ბრესტი 2:2. გრენობლი — ბასტია დღეს გაიმართება

# გაზაევს იტალიიდან კოშმარი გამოუწერეს

## რუსეთი

პრემიერლიგა. III ტური

**ლოკომოტივი 2:3 სპარტაკი (ნ)**

0:1 პილიპჩუკი (10), 0:2 კარჩაგინი (69პ), 1:2 ლოსკოვი (73პ), 1:3 პილიპჩუკი (77), 2:3 ოკონორი (87)

**სპარტაკი (ნ):** ჩიხრაძე, კუდაევი (ჯეფტონი 90), მოსტოვოი, ბიტოკოვი, სკვორცოვი, კარჩაგინი, ლანკო (ევსიკოვი 82), პილიპჩუკი (მაშუკოვი 79), სერდიუკოვი, ჯუდოვიჩი, გოგუა

**გაძევება:** ევსეევი (60, ლოკომოტივი), გოგუა (47, სპარტაკი ნ)

**რუბინი 1:0 ლუჩ-ენერგია**

1:0 დომინგესი (64)

**მოსკვა 1:0 კრილია**

1:0 კირიჩენკო (21)

**სპარტაკი(მ) 1:1 ცსკა**

0:1 ლავი (59), 1:1 ტიტოვი (63)

**შინიკი 0:1 ტომი**

0:1 მლადენოვი (75)

**დინამო 1:1 სატურნი**

0:1 ჩესნაუსკასი (22), 1:1 სემშოვი (83)

**ტორპედო 0:0 ამკარი**

**ზენიტი — როსტოვი**

*17 მაისს გაიმართება*

„ტომი“ აღარ ხუმრობს. ვალერი პეტრაკოვის შეგირდებმა იაროსლავლში „შინიკთანაც“ მოიგეს და სამი ტურის მერე ჩემპიონატს ასპროცენტიანი შედეგით ლიდერობენ.

ტურის ცენტრალური მატჩი მოსკოვური დერბი იყო „სპარტაკსა“ და ცსკა-ს შორის, რომელმაც მოლოდინი ნამდვილად გაამართლა. აღსანიშნავია, რომ მსაჯი იტალიელი მასიმო დე სანტისი გახლდათ, რომელიც საგანგებოდ მიიწვიეს და ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

ცსკა-ს შეტევები გაცილებით სახიფათო იყო. მხოლოდ ვაგნერ ლავმა ორი ჩინებული შანსი გაანიავა. 59-ე წუთზე კი არმიელთა ბრაზილიელმა ფორვარდმა თავისი მაინც გაიტანა. გავიდა ორი წუთი და იგორ აკინფეევმა საჯარიმოს გარეთ მკერდით ითამაშა, ეს ვიდეოფირზეც ჩანს. თუმცა დე სანტისმა ეპიზოდი კარგად ვერ დაინახა და თანაშემწესთან კონსულტაციის შემდეგ არმიელთა მეკარე გააძევა. ჯარიმა მოცარტმა კარგად დაარტყა, ხოლო აკინფეევის შემცვლელმა გაბულოვმა ბურთი ცხვირწინ მოიგერია, რომელთანაც იგორ ტიტოვი მივარდა და 1:1.

დარჩენილ დროში გატანის არაერთი შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. ცხადია, კაცმეტი „სპარტაკი“ უფრო მეტს და მწვავედ უტევდა, მაგრამ ამაოდ.

ცსკა-ს თავკაცი ვალერი გაზაევი მატჩის შემდეგ ძალიან გაბრაზებული გახლდათ. „მსაჯმა მთელი თამაში გააფუჭა. ამას გაფუჭებაც არ ჰქვია, ეს კოშმარი იყო. მან აკინფეევი უმიზეზოდ გააძევა და „სპარტაკის“ კარში ასპროცენტიანი პენალტი არ დადო. ასეთ არბიტრს რუსეთის მეორე დივიზიონის თამაშებიც არ უნდა ანდო. ჩვენ კი საგანგებოდ ვიწვევთ და დიდ ფულსაც ვუხდით“.

„სპარტაკის“ მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვმა მატჩის შედეგს ლოგიკური უწოდა და ეს ლოგიკურიც იყო. მასიმო დე სანტისმა კი, რომ ჰკითხეს, თუ რატომ გააძევა აკინფეევი, ირონიულად უპასუხა:

„მოწვევას სიამოვნებით დავთანხმდი, რადგანაც მოსკოვი მომწონს. აქ ადრე ცსკა — „ჩელსი“ ვიმსაჯე. შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა. ფეხბურთელები ძალიან ნერვიულობდნენ და ქომაგებიც ისე ხმაურობდნენ, როგორც ჩვენთან „რომა“ — „ლაციოზე“. რაც შეეხება მეკარის გაძევებას, დღეს ხომ პირველი აპრილია, მე კი მხიარული ადამიანი ვარ და მატჩამდე ხუმრობა ვერ მოვასწრი, რაც მინდორზე ავინაზღაურე“.

„ზენიტისა“ და „როსტოვის“ მატჩი 17 მაისისთვის გადაიდო. პეტერბურგელებს უეფას თასზე „სევილიასთან“ შეხვედრის წინ დასვენების და კარგად მომზადების საშუალება მისცეს, რითაც ესპანური კლუბის უფროსობა ძალიან უკმაყოფილო დარჩა: ჩვენ „ბეტისთან“ დერბი, სეზონის ერთ-ერთი უმძიმესი თამაში გველის და ამ დროს „ზენიტი“ დაისვენებსო.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტომი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| ცსკა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| რუბინი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| მოსკოვი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:4 | 6 |
| ზენიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| სპარტაკი ნ. | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| კრილია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| როსტოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| სატურნი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ლუჩ-ენერგია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ტორპედო | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ამკარი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| შინიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |



სპარტაკულ-არმიულ დერბის სკანდალი მოჰყვა

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXIX ტური

**ბრაგა 1:0 ნასიონალი**

1:0 დელიბაშიჩი (12)

**ნავალი 1:0 ფერეირა**

1:0 ფაიარდო (81)

**გიმარაეში 0:1 სპორტინგი**

0:1 ლიდსონი (80)

**ამადორა 3:2 აკადემიკა**

0:1 ჟოეანო (18), 0:2 ტეიშეირა (28), 1:2 მანუ (68), 2:2, 3:2 ბორგესი (89, 90)

**ბელენენსეში 1:2 ბენფიკა**

1:0 პედრო (8(, 1:1 მიკოლი (22), 1:2 კარაგუნისი (30)

**პენაფიელი 1:1 ლეირია**

1:0 დიალო (1), 1:1 ლორენსო (90)

**ბოავიშტა 1:1 მარიტიმუ**

1:0 ჟორჟე (10), 1:1 კარლოსი (75)

**პორტუ 3:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ჩეხი (45), 2:0 კვარეშმა (79პ), 3:0 იბსონი (88)

**რიუ ავე — სეტუბალი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 29 | 20 | 6 | 3 | 47:14 | 66 |
| სპორტინგი | 29 | 20 | 4 | 5 | 46:22 | 64 |
| ბენფიკა | 29 | 18 | 5 | 6 | 44:23 | 59 |
| ბრაგა | 29 | 16 | 6 | 7 | 32:16 | 54 |
| ბოავიშტა | 29 | 12 | 11 | 6 | 35:24 | 47 |
| ნასიონალი | 29 | 12 | 8 | 9 | 33:28 | 44 |
| სეტუბალი | 28 | 13 | 3 | 12 | 25:26 | 42 |
| ლეირია | 29 | 10 | 7 | 12 | 35:38 | 37 |
| ამადორა | 29 | 10 | 6 | 13 | 27:31 | 36 |
| მარიტიმუ | 29 | 8 | 11 | 10 | 30:32 | 35 |
| ბელენენსეში | 29 | 10 | 4 | 15 | 36:35 | 34 |
| ნავალი | 29 | 10 | 4 | 15 | 31:40 | 34 |
| აკადემიკა | 29 | 9 | 6 | 14 | 29:40 | 33 |
| რიუ ავე | 28 | 7 | 10 | 11 | 28:38 | 31 |
| ფერეირა | 29 | 8 | 7 | 14 | 28:43 | 31 |
| გიმარაეში | 29 | 7 | 9 | 13 | 23:34 | 30 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 8 | 5 | 16 | 29:39 | 29 |
| პენაფიელი | 29 | 2 | 8 | 19 | 20:55 | 14 |

## ბელგია

იუპილერლიგა XXIX ტური

**ანდერლეხტი 1:1 ლოკერენი**

0:1 ტიინენი (11 ს.კ.), 1:1 აკინი (37)

**გენტი 4:1 ბრიუგე**

1:0 ბუსუფა (18), 2:0 ბეულე (51), 3:0 ბუსუფა (67(, 3:1 პორტილიო (77), 4:1 ბუსუფა (83)

**სერკლი 3:0 ლიერსი**

1:0 სმეტი (44), 2:0 პივალიევიჩი (52პ), 3:0 იბადი (81)

**ბეერსხოტი 2:2 რუზელარე**

0:1 დუფური (2), 1:1 მესუდი (43(, 1:2 ვაესენი (71), 2:2 დოსუნმო (80)

**ლუვიე 0:2 სენტ ტრუიდენი**

0:1 ჰაინალი (49(, 0:2 სტოლიცა (80)

**გენკი 1:0 ბრიუსელი**

1:0 სტოიანოვიჩი (52)

**სტანდარდი 2:1 მუსკრონი**

1:0 ნიუგაული (10), 2:0 ტჩიტე (39), 2:1 სანტოსი (89)

**ვარეგემი 2:2 ბევერენი**

0:1 დიალო (50), 0:2 ფონტენტე (68), 1:2 სალუ (77), 2:2 ტიებაუტი (84)

**ვესტერლო 1:1 შარლერუა**

0:1 აკგული (54), 1:1 პულე (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 29 | 17 | 8 | 4 | 61:26 | 59 |
| სტანდარდი | 29 | 17 | 7 | 5 | 48:24 | 58 |
| ბრიუგე | 29 | 14 | 9 | 6 | 42:31 | 51 |
| გენტი | 29 | 15 | 5 | 9 | 41:31 | 50 |
| ვარეგემი | 29 | 14 | 6 | 9 | 48:39 | 48 |
| გენკი | 29 | 13 | 8 | 8 | 41:32 | 47 |
| ლოკერენი | 29 | 11 | 10 | 8 | 42:40 | 43 |
| ვესტერლო | 29 | 11 | 7 | 11 | 38:38 | 40 |
| შარლერუა | 29 | 10 | 9 | 10 | 32:33 | 39 |
| რუზელარე | 29 | 9 | 10 | 10 | 42:38 | 37 |
| ბრიუსელი | 29 | 9 | 10 | 10 | 26:27 | 37 |
| ბეერსხოტი | 29 | 10 | 6 | 13 | 36:43 | 36 |
| სენტ ტრუიდენი | 29 | 8 | 8 | 13 | 33:38 | 32 |
| მუსკრონი | 29 | 9 | 4 | 16 | 39:39 | 31 |
| სერკლი | 29 | 8 | 6 | 15 | 33:52 | 30 |
| ლიერსი | 29 | 6 | 8 | 15 | 18:47 | 26 |
| ბევერენი | 29 | 7 | 4 | 18 | 32:52 | 25 |
| ლუვიე | 29 | 4 | 13 | 12 | 21:43 | 25 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი ძაძამიძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგეშაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge